გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N25 (9169) | 11 სექტემბერი. 2015 წელი | ფასი 50 თეთრი

## "ჯეოსელმა" მოტყუებული დაგვტოვა



2

## მუქი შრიფტით საკრებულოს მასხრად აგდებაზე

3




3

## გრამატიკულად ასე ვფიქრობ

## მოსახლეობამ ამ პრობლემაზე თითქმის არაფერი იცის

## ქალაქში სპეციალისტების რაოდენობა გაიზარდა




4

## აგვისტოს პრემია რკინიგზელებში უკმაყოფილებას იწვევს

5

## როდის არ კვდებიან ადამიანები

## პირველკლასელები "ლენოვოს" ფირმის ნოუთბუქებით ისწავლიან

7





7

## ვიცხოვროთ მშვიდად მშვიდ მსოფლიოში

# გაზაფხულიდან რომ დაიწყონ საქმის კეთება

ნინო ნანიტაშვილი

ორშაბათის ტრადიციული თათბირი მუნიციპალიტეტის გამგებელმა პროექტების განხილვით დაიწყო. ვალერიანე ფოცხვერიამ ზურაბ გოგიას დაწვრილებით მოჰკითხა სამტრედიის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

ზურაბ გოგიას ინფორმაციით, მუნიციპალიტეტში პროექტებით გაწერილი სამუშაოები კარგი ტემპით მიმდინარეობს: 5-6 დღეში დამთავრდება ქალაქის ცენტრში მდებარე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სარემონტო სამუშაოები. შევეცადეთ, შენობის ფასადის ფერები წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრისათვის შეგვეხამებინა. 10-11 დღეში უნდა ჩავიბაროთ ''სათნოების სახლი''. ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის რემონტი ვადებში ეტევა. უნდა გითხრათ, რომ საზოგადოებრივ ცენტრზე ხელშეკრულების გაფორმება გვიანდება. სტიქიასთან დაკავშირებით აღდგენითი სამუშაოები ბაშში, სავარაუდოდ, 10 დღეში უნდა დასრულდეს. გომში აქტიურად მიმდინარეობს არხების გაჭრის სამუშაოები.

ნორმალური და მისაღები სიტუაცია გვაქვს საბავშვო ბაღებთან მიმართებაში. 15 სექტემბრამდე რემონტი ყველგან დამთავრებული იქნება''.

გამგებლის წარმომადგენლებს 7 სექტემბრის ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე განსაკუთრებული არც ინფორმაცია და არც შენიშვნა ჰქონიათ, თუ ანგარიშში არ ჩავთვლით ტოლების თემის წარმომადგენელს. ალექსი ბოცვაძემ ადგილობრივი თვითმმართველობის ოფიციალურ პირებს ვაზისუბნის მოსახლეობის გასაჭირის შესახებ უამბო: ''სოფელში სიტუაცია საკმაოდ დაძაბულია. გლეხობა მოსავლის გარეშე შეიძლება დარჩეს. საქმე იმაშია, რომ ვაზისუბნის მოსახლეობას ავტობანის მშენებლობის ხელმძღვანელობამ თავის დროზე მათ მიერ დაზიანებული საძოვრის ღობე, მართალია, აღუდგინა, მაგრამ შესრულებული სამუშაო არ აკმაყოფილებს მოსახლეობას, ვინაიდან ამ ფართობს წრიულად საძოვარი ესაზღვრება. ავტობანის ხელმძღვანელობა გლეხობას დარაჯის დაყენებას დაჰპირდა, თუმცა პირობა არ შეასრულეს. ამიტომ პირუტყვი შევიდა ყანებში და მოსავალი გაანადგურა. მოსახლეობა ზარალის ანაზღაურებას ითხოვს''.

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ვალერიანე ფოცხვერიამ მომავალი წლის პროექტების დაჩქარებულ ვადებში მომზადება მოითხოვა. მისი აზრით, სექტემბრის ბოლოსთვის ყველა დოკუმენტაცია უნდა მოწესრიგდეს, გაზაფხულიდან რომ დაიწყონ საქმის კეთება.



## ''ჯეოსელმა'' მოტყუებული დაგვტოვა

ღანირის, ნინუაკუთხისა და კვირიკეს მოსახლეობა პოზიციებს არ თმობს. ისინი ''ჯეოსელისაგან'' კატეგორიულად მოითხოვენ, ღანირის ტერიტორიაზე, ფრანგიშვილების უბანში, გოჩა კაკაბაძის საკარმიდამო ნაკვეთში ანძის დემონტაჟი მოახდინონ.

2015 წლის 8 აგვისტოს, შპს ''ჯეოსელმა'' ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ანძის მშენებლობა დაიწყო. სამუშაოები 3 სექტემბერს უნდა დაემთავრებინათ, ადგილობრივებს მათთვის ანძის დამონტაჟებაში ხელი რომ არ შეეშალათ.

რამდენიმედღიანი აქციის შედეგად ''ჯეოსელმა'' სამუშაოები შეაჩერა. სიტუაციის განმუხტვაში ჩაერთო ადგილობრივი ხელისუფლება. როგორც მოსახლეობა ამბობს, მათ მიიღეს დაპირება, ''ჯეოსელი'' ანძის დემონტაჟს მოახდენდა, მაგრამ ჯერჯერობით სიტუაცია უცვლელია. დაპირებიდან 10 დღეა გასული. მოსახლეობამ 10 სექტემბერს ისევ აქციას მიმართა.

''ჯეოსელი'' არ იბრძვის ხალხისთვის, ის იბრძვის ჯიბისთვის'', ''არ გვინდა ნაადრევი სიკვდილი'', ''ერთეულების არ არის ქვეყანა'', ''ვითხოვთ ანძის დემონტაჟს, აასრულონ პირობა!'' _ ამ შინაარსის ტრანსფარანტებით ღანირის, კვირიკეს, ნინუაკუთხის მოსახლეობამ ღანირი-კვირიკეს საზღვრის მონაკვეთში ხონი-სამტრედიის სამხედრო გზა გადაკეტა. აქცია დილის 11 საათზე დაიწყო და დაახლოებით, ერთი საათი გაგრძელდა.

ჯემალ ღვინერია, ღანირის მკვიდრი, აქციის მონაწილე: ''ჯეოსელმა'' მოტყუებული დაგვტოვა. ჯერ ის არ იკმარეს, რომ სოფელში ამხელა ანძას გვიდგამდნენ და ამის შესახებ მხოლოდ მუშაობის დაწყების დღეს შევიტყვეთ. ხალხის დიდი წინააღმდეგობა რომ მიიღეს, დაგვპირდნენ, სამ დღეში დემონტაჟს მოახდენდნენ, მაგრამ როგორც ხედავთ, 15 დღეა გასული და კონტაქტზე არ გამოდიან. გვაქვს ინფორმაცია, შუაღამისას აპირებენ გამზადებული დანადგარის ანძაზე დამონტაჟებას, რასაც ყველანაირად ვეწინააღმდეგებით''.



მოსახლეობასთან აქციაზე მივიდა მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ნაბაკევის თემში. ოთარ წულეისკირი მოსახლეობის აღშფოთებას სამართლიანს უწოდებს: ''მე დღეს მოსახლეობას ვთხოვე, აქცია დაშლილიყო, რადგან ახლახან ველაპარაკე ''ჯეოსელის'' წარმომადგენელს, რომელმაც მითხრა, რომ ხვალ ხალხთან შესახვედრად მოვა ჯარჯი გეგეშიძე, ''ჯეოსელის'' ასევე ერთ-ერთი წარმომადგენელი. მაგათი შეხვედრა არც არავის აინტერესებს, ხალხი მათგან დემონტაჟს მოითხოვს, რისი პირობაც მისცეს და არ შეასრულეს. ვადასტურებ ჩემს პოზიციას, მოსახლეობა სამართლიანად არის აღშფოთებული.''

ნინო ნანიტაშვილი



## 11 ქუჩაზე!

ფაღავას ქუჩა ერთადერთი არ არის, სადაც სანიაღვრე არხებისა და ბოგირების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. და არა მარტო აქ, ქალაქის 11 ქუჩაზე მსგავს სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია ''სტანდარტმშენი'' ასრულებს. მისი ხელმძღვანელი ალექსი ლაცაბიძე აცხადებს, რომ დაახლოებით 180 ათასი ლარის სამუშაოს, ხარისხიანად შესრულებულს, დათქმულ ვადაში ჩააბარებს ადგილობრივებს. მათ რეგიონალური განვითარების ფონდი აფინანსებს და წყალსაწრეტი არხების გაწმენდას, საჭიროების შემთხვევაში გაფართოებას და ბოგირების ლითინის ფურცლებით შეცვლას გულისხმობს. ფაღავას ქუჩაზე გასულებს მოსახლეობის კმაყოფილება გვესმოდა. ეს პროცესი მოახლოებულ შემოდგომა-ზამთრის სეზონზე თავიდან ააცილებთ ქუჩების დატბორვას.

11 ქუჩიდან ზოგან უკვე დასრულდა სამუშაოები, ზოგან კი გრძელდება. რადგან შემსრულებელი ორგანიზაცია შესრულების მაღალი ხარისხის გარანტიას იძლევა.

თეა ბაბუნაშვილი



## ქალაქში სპეციალისტების რაოდენობა გაიზარდა

ნინო ნანიტაშვილი

ნონა ფანცულაია, ნონა ჩაჩუა და ილია ქარჩილაძე მუნიციპალიტეტის გამგებლის, ვალერიანე ფოცხვერიას 2015 წლის 26 ივლისის ბრძანების საფუძველზე 2015 წლის პირველი სექტემბრიდან ქალაქ სამტრედიაში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში სპეციალისტებად დაინიშნენ. აღნიშნული ვაკანსიები მას შემდეგ გაჩნდა, რაც მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვეტილება მიიღო, ქალაქის ტერიტორიულ ორგანოში სამი საშტატო ერთეული დამატებულიყო.

როგორც ოფიციალური პირები განმარტავენ, სამსახურის საშტატო ერთეულის 3 სპეციალისტით გაზრდა განაპირობა ქალაქის ტერიტორიაზე მოცულობითმა სამუშაომ. სპეციალისტთა არსებული რაოდენობა, ანუ 9 თანამშრომელი, არ აღმოჩნდა საკმარისი 10 000 ოჯახს მომსახურებოდნენ. საქმეში ღრმად ჩახედულები იმასაც ამბობენ, რომ აღნიშნულ საქმიანობას 2014 წლის 14 ივლისამდე 27 თანამშრომელი ასრულებდა. უფრო მეტიც, 2003 წლამდე ქალაქი სამტრედია პირობით უბნებად დაიყო და მათმა რიცხვმა 11 შეადგინა. ამდენად, 9 სპეციალისტი 11 უბანს, შეუძლებელია, გასწვდეს.

დღეისათვის ქალაქის წარმომადგენლობაში უფროსის ჩათვლით 13 თანამშრომელი აღირიცხება და მათ შესაბამისი უბნები აქვთ განაწილებული.

ნონა ფანცულაია სამტრედიელია, პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი, 1994 წლიდან 2006 წლამდე სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობდა: იყო რაიონის გამგეობის მთავარი სპეციალისტი, გამგებლის მთავარი მრჩეველი და საერთო განყოფილების უფროსი. დაოჯახების შემდეგ, პირადი განცხადების საფუძველზე, გათავისუფლდა სამსახურიდან. საჯარო მოხელეთა კონკურსში მიიღო მონაწილეობა და დაინიშნა სპეციალისტის პოზიციაზე. ჰყავს ერთი მცირეწლოვანი შვილი.

ნონა ჩაჩუა იანეთის მკვიდრია, პროფესიით ისტორიკოსი, მუშაობდა 1995-2011 წლებში პედაგოგად. მიიღო მონაწილეობა კონკურსში და დაინიშნა სპეციალისტის პოზიციაზე. არის დაუოჯახებელი.

ილია ქარჩილაძე სამტრედიელია, სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსი. ძირითადი საქმიანობა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობა გახლდათ. კონკურსში გაიმარჯვა და დაინიშნა სპეციალისტის პოზიციაზე.



თეა ბაბუნაშვილი

# გრამატიკულად ასე ვფიქრობ

*საკრებულოს სხდომა, პირველი, შემოდგომის პირველივე თვეს, უხმაუროდ დაიწყო. იხუმრეს კიდეც, ჟურნალისტებს ასეთი სხდომები არ გიყვართო. განსახილველი საკითხების საკმაოდ გრძელი რიგის გამო, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, იმედი დავიტოვეთ მისი ბოლოსკენ მაინც "ახმაურების". პარტიული წარსული იმ დღეს ერთმანეთისთვის არავის შეუხსენებია, პოზიცია-ოპოზიცია ერთი საკითხის გარდა, შეხმატკბილებულად ეთანხმებოდნენ ერთმანეთს.*

იმ ერთ საკითხზე ცალკე, აქ კი იმაზე, რომ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩაზე, ლაშა ლეჟავას საკუთრებაში არსებულ მიწის, ხოლო ჭავჭავაძის ქუჩაზე ნელი გვიშიანის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას ახალი მისამართი განესაზღვრა. გარდა ამისა, საჭიდაო კლუბ "ფალავანს" თხოვების ფორმით უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცა ჩხეიძის ქუჩაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა. სამივე ეს საკითხი განსახილველად ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ ულრელიძემ გამოიტანა.

ტრიბუნა საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანს დაეთმო და მან ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, შპს "სამტრედიის მაცნეს", გომის და პირველი სამუსიკო სკოლების, სამხატვრო სკოლა-გალერეის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, პანთეონის, სასაფლაოების, გამწვანების და სანერგე მეურნეობის ხარჯებში ცვლილებებზე ისაუბრა. ცვლილება შევიდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტშიც. კერძოდ, სარეზერვო ფონდი შემცირდა 1.4 ათასი ლარით. აღნიშნული თანხით გაიზარდა შპს "სამტრედიის მაცნეს" სუბსიდიის გეგმა. სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან 3 ათასი ლარი სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად, სამხედრო სამსახურის ოფისის ხარჯიდან კი 0.8 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების მუხლში გადაიტანეს.

იურიდიული კომისიის თავმჯდომარის, მანანა სირბილაძის ტრიბუნაზე გამოჩენამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, რამდენადმე აახმაურა ის წყნარი სხდომა. საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის დროებითი კომისიის დებულების დამტკიცებამ დეპუტატების აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგიერთი მათგანი მისი წევრთა რაოდენობის, რომელიც 5-დან 11 კაცამდე მერყეობს, გაზრდის, ზოგიც ფიქსირებული ციფრის დასახელების წინადადებით გამოვიდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ფრთიანი ფრაზაც ითქვა – "გრამატიკულად ასე ვფიქრობ..." ჟურნალისტებისთვის საყურადღებო უმრავლესობის წევრის, ჯონი ახობაძის რეპლიკა აღმოჩნდა, რომელსაც მხოლოდ არასამთავრობოების ნაწილში ოპოზიციონერი ემზარ შუბლაძეც დაეთანხმა. ამაში, ალბათ, პოლიტიკურმა გამოცდილებამ "უშველა." ამ კომისიის შემადგენლობაში არასამთავრობოები და ჟურნალისტები ხმის მიცემის უფლებით წარმოდგენილნი არ იქნებიან. მათ მხოლოდ დასწრების საშუალება შეიძლება მიეცეთ. არადა, ჟურნალისტებმა უამისოდაც კარგად იციან საკუთარი, ხოლო ზედმიწევნით კარგად, სხვისი უფლებები! არიან ყველგან, სადაც საჭიროა და ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს, ამ შემთხვევაში სამტრედიის მუნიციპალიტეტი, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება, თუ გადავხედავთ, წინა ხელისუფლების "დემოკრატიულობა" ჯერ კიდევ კარგად დაუვიწყარი ძველი სიახლე ხდება! იმ "სხარტულა" ფრაზისა არ იყოს, გრამატიკულად ასე ვფიქრობთ!...

# მუქი შრიფტით საკრებულოს მასხრად აგდებაზე

თეა ბაბუნაშვილი

## ვერ გავიგე, რა ხდება

მტკივნეული საკითხი, როგორც მას სამანდატო და იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ უწოდა, საკრებულოს სხდომის დასასრულს განიხილეს. თხუთმეტსაკითხიან დღის წესრიგში ნუმერაციაც თარსი ჰქონდა, მეცამეტე გახლდათ. მომხსენებელი თავად იყო ქალბატონი მანანა, როგორც ტრიბუნაზე გამოსვლისას "ნაცმოძრაობის" წევრი ზურაბ ზაქარიაძე მას ეხუმრა, ყველაზე მწარე საკითხების გამომტანი. მეცამეტე, საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელების ხარჯების ანაზღაურების წესის ცვლილება იყო, რითაც საკრებულოს წევრებს, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, ხარჯებისთვის გამოყოფილი თანხა შეუმცირდათ. საჯარო მოხელის შესახებ კანონსა და საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების საფუძველზე განხორციელებულმა ამ სიახლემ, საკრებულოს წევრებისთვის საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მიღების, საკრებულოს დავალებების შესრულების, ამომრჩეველთან შეხვედრისა და საკრებულოს წევრის სხვა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის გამოყოფილი თანხის ზღვრული ოდენობა შეამცირა. როცა ახლად არჩეული საკრებულო მუშაობას შეუდგა, მისივე გადაწყვეტილებით იგი რიგითი წევრებისთვის 600 ლარით განისაზღვრა. ამჯერად კანონში ცვლილების საფუძველზე საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15% უნდა იყოს, რაც სამტრედიის საკრებულოს სინამდვილეში 400 ლარის არაუმეტესია. უფრო ზუსტად კი, 97 ლარი და 50 თეთრია. თუმცა, ესეც კანონის ფარგლებში, დამრგვალებული ოდენობით დაენიშნებათ, ამ შემთხვევაში უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, "გადაენიშნებათ" საკრებულოს რიგით წევრებს. "თავდაპირველად, როცა საკრებულოს წევრებს ხარჯების ასანაზღაურებლად თანხა დავუნიშნეთ, ურთიერთჭიდილი გვქონდა, რადგან კანონში მოცემული იყო ძალიან ზოგადად, ანუ შეგვეძლო საერთოდ არ მიგვეცა ან მიგვეცა მათთვის ეს



თანხა. ამას არავითარ შემთხვევაში ხელფასი არ ჰქვია, ეს მათი უფლებამოსილების განსახორციელებლად გაცემული თანხაა. საკრებულოს წევრობა რომ ანაზღაურებადი არ არის, ეს ძალიან კარგად იცოდა ყველა მათგანმა ჯერ კიდევ საკრებულოს წევრობამდე. ჩვენ გადავწყიტეთ მიგვეცა ხარჯების თანხა არათანამდებობის პირი წევრებისთვის და თავის დროზე იგი 600 ლარით განვსაზღვრეთ. იგი იბეგრებოდა და ხელზე 480 ლარს იღებდნენ. ამ გადაწყვეტილებით კი არ დაიბეგრება და 400 ლარს აიღებენ. ამჯერად მთავრობიდან მოსულმა ბრძანებამ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება აუცილებელი გახადა." – ამბობს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძე. იმ დღის წყნარი სხდომა ამ ამბავმა, რა თქმა უნდა, აახმიანა. მით უმეტეს, რომ 3 სექტემბერს მოსული ეს ცვლილება აგვისტოს ხარჯის შემცირებულად მიცემასაც ითხოვს. მანანა სირბილაძის განმარტებით, ცვლილება მანამდე მათ არ მისვლიათ, ესეც რომ არა, მას რიგგარეშე სხდომაზე ვერ გაიტანდნენ, იურიდიულად ეს არ შეიძლებოდა. აგვისტოში კი, ძირითადად, რიგგარეშე სხდომები ჩატარდა. "კანონს უკუქმედების ძალა არ აქვს, ამაზე ჩვენც ვდავობთ, მაგრამ ვერ გავიგე, რა ხდება, მაინც გვთხოვენ აგვისტოს ხარჯის შემცირებას." – კოლეგების აზრს იზიარებდა იგი. "ეს არის საკრებულოს მასხრად აგდება!" ერთმანეთს ეთანხმებოდნენ საკრებულოს წევრები. ერთ-ერთმა მათგანმა გულწრფელად გამოხატა საკუთარი გულისტკივილი ჩუმი რეპლიკით: "მაგისთვის დავდივარ აქ, სათამაშოდ სად მცალია!" მეორემ კი ხმამაღლა განაცხადა: "გაზეთში მუქი შრიფტით რომ ეწერა, ხელფასი 600 ლარი დაინიშნესო, ახლაც მუქი შრიფტით დაწერონ, რომ მოვიკელით!" გაზეთი კი კიდევ უფრო "მუქი შრიფტით", ვიდრე ეს ამ სიტყვების ავტორმა იგულისხმა, წერს, მოუკლეს და არა მოიკლეს! თუმცა, ვეთანხმებით მათ, რომ სასიამოვნო და წარმატებული არც ეს პროცედურაა, რადგან წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, სახელმწიფო მისი ეკონომიკური პილიტიკიდან გამომდინარე, თანამდებობრივი სარგოების თუ საზოგადოებისთვის სახარჯოდ მიცემული რამენაირი თანხის არა შემცირებას, არამედ გაზრდას ითხოვდეს! საკრებულოს იმ წევრის საყურადღებოდ კი, რომელსაც გაზეთისადმი ზერელე ტონი და დამოკიდებულება აშკარად ეტყობოდა, ყოველ შემთხვევაში იმ სხდომაზე, ვამბობთ, საკუთარი ნებით რომ მოიკლებთ, კიდევ უფრო "მუქი შრიფტით" დაწერს გაზეთი და არა ასეთ პატარა სტატიას, მთელ გვერდს მოგიძღვნით ამ "გმირობისთვის." რეპლიკების ავტორების გვარები არ გამოგვრჩენია, შეგნებულად არ ვწერთ, რადგან იმ დეპუტატის გვარის დასახელებას ვერიდებით, ძალიან პატიოსან ადამიანად რომ იცნობენ და მისი გულწრფელობის გამო შეიძლება უხერხულობა შეექმნას. ეჭვიც არ გვეპარება, საკუთარ სიტყვას ყველა მათგანი იცნობს. მკითხველისთვის კი სხდომის პათოსი ისედაც გასაგები იქნება.

და კიდევ ერთი განცხადება იმ სხდომიდან, ძალიან საინტერესო და ღიმილით დასაფიქრებელი – "რომ არ დავუჭიროთ მხარი ამ გადაწყვეტილებას, რა იქნება? შეიცვლება რამე?" ჰოდა, რადგან უარყოფაზე ან დათანხმებაზე ხელის აწევით არაფერი იცვლება, გადაწყვეტილების მიღების წინააღმდეგ წასულ ოპოზიციას უმრავლესობის რამდენიმე წევრიც დაეთანხმა, მათ შორის, რა თქმა უნდა, ის გულწრფელი დეპუტატიც.

# "პინი" 2016 წლის პრიორიტეტების გამოკვეთაზე მუშაობს

ნინო ნანიტაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია "პინი" სამტრედიის მუნიციპალიტეტში საჯარო შეხვედრებს აგრძელებს.

2014-2015 წლებში საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით სამტრედიის მუნიციპალიტეტში რვა შეხვედრა გაიმართა. ასევე დაიბეჭდა ბროშურა, რომელშიც გაწერილია ჩვენი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები.

8 სექტემბერს საკრებულოს სხდომათა დარბაზში საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და არსებულ პრობლემებზე ღიად ისაუბრეს. შეხვედრის ფასილიტატორი, საინფორმაციო ცენტრის დირექტორი, სოფიო კირთაძე გახლდათ. აღსანიშნავია, რომ შეხვედრაზე დაიგეგმა აქტივობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სამტრედიელი ახალგაზრდები, განათლების, კულტურისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

სოფიო კირთაძემ აუდიტორიის წინაშე არასამთავრობო ორგანიზაცია "პინის" მიერ სხვადასხვა დროს დაფინანსებულ პროექტებზე ისაუბრა და იქვე იმედი გამოთქვა, რომ, "პინი" ახლო მომავალში სამტრედიის მუნიციპალიტეტში ასევე კულტურული პროექტებით შემოვა. და რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, "პინის" პროექტების თანადამფინანსებელი სამტრედიის მუნიციპალიტეტია. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული რჩეულთა საბჭო დეტალურად განიხილავს საჯარო შეხვედრის ფარგლებში გამოკვეთილ პრობლემებს და სწორედ საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე ერთობლივად მოხდება პრობლემების იდენტიფიცირება და პროექტების დაფინანსება".

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა და დასწრებისთვის მადლობა გადაუხადა "პინის" პროექტების კოორდინატორმა, თეონა ფურცხვანიძემ. მან აღნიშნა, რომ სამტრედიაში წარმატებით მიმდინარეობს არასამთავრობო სექტორის მიერ საგრანტო პროექტის პროექტები: "მინდა, ყოველ ჯერზე "პინის" პროექტები იყოს ორიგინალური და საზოგადოების ფართო მასისთვის მნიშვნელოვანი. ასეთ წინადადებად დღეს შემიძლია,



გამოვკვეთო, სამტრედიელი ახალგაზრდების მიერ არტ-კაფეს გახსნის სურვილი. დარწმუნებული ვარ, მრჩეველთა საბჭო ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად განიხილავს და დონორ ორგანიზაციას საგრანტო პროექტის სახით წარუდგენს".

"ადამიანი გაჭირვებაში" კვლავ აგრძელებს საჯარო შეხვედრებს, ამჯერად გაჩერება სამტრედიის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელია.



# ვიცხოვროთ მშვიდად მშვიდ მსოფლიოში

ლევან გაბეჩავა





სიტყვა ''ტერორი'' ბევრად უფრო ახალია, ვიდრე მისი განხორციელების პრაქტიკა.

მაშინ, როცა ჯერ კიდევ სწამდათ მფრინავი ხალიჩის არსებობა, განაწყენებული ხალხი მათ მტანჯველებსა და სისხლისმსმელებს პრიმიტიული წესით უსწორდებოდა.

უამრავი ასეთი მაგალითი შემოგვინახა ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ და რაღა თქმა უნდა, ისტორიამ.

მიდის დრო. იცვლება ყოველივე. მზისქვეშეთში არაფერია მარადიული და...

თუ შარშან და იმის წინ არაბულ სამყაროში განხორციელებულმა ტერაქტების სერიამ მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო, მანამ და შემდეგაც, ფართომასშტაბიანი ტერაქტები მოხდა ევროპასა და ამერიკაში. ასე რომ, არავინ და არაფერია დაზღვეული უეცარი მოსალოდნელი უბედურებისაგან.

და მაინც, მიმდინარე საუკუნის ყველაზე გახმაურებულ მოვლენად კაცობრიობა 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკაში მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე მომხდარ ტერორისტულ აქტს მიიჩნევს, ასობით ადამიანის სიცოცხლე რომ შეიწირა და ტერორისტული დაჯგუფება ''ალ-ქაიდას'' მიერ იყო ორგანიზებული.

შემდეგ იყო ბესლანის გაუგონარი ტერაქტი, სერიული მკვლელის მიერ ნორვეგიაში დახოცილი უდანაშაულო ადამიანები და ჩვენს მიერ ხსენებული ''არაბული გაზაფხული''.

ახლახან ვირჯინიის შტატში ორი ჟურნალისტის სიცოცხლის ხელყოფაც როგორც სისხლის სამართლის საქმე, მრავალნაირი ასპექტითაა შეფასებული.

გვერდიგვერდ დააბიჯებენ ცოდვილ დედამიწაზე სიკეთე და ბოროტება, ომი და მშვიდობა, ამდენად, თითოეული ადამიანი უნდა გაუფრთხილდეს საკუთარ თუ სხვათა სიცოცხლეს.

არავისა აქვს უფლება, ხელჰყოს სხვათა სიცოცხლე, მატერიალური, სულიერი, მორალური ზიანი მიაყენოს სხვებს.

ვიცხოვროთ მშვიდად მშვიდ მსოფლიოში _ ნატრულობენ დედამიწის ბინადარნი.

ვუერთდებით პლანეტის მშვიდობისმოყვარე ხალხის გულისთქმას, ვგმობთ ყველანაირ ძალადობას და თავს ვხრით 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ფართომასშტაბიანი ტერორისტული აქტის უდანაშაულო მსხვერპლთა ნათელი ხსოვნის წინაშე.

# ნეფროლოგიისა და ჰემოდიალიზის კლინიკა ''NDC'' სამტრედიაშია

ნინო ნანიტაშვილი

ჭანტურიას ქუჩის 53 ნომერში პირველ სექტემბერს პირველი დიალიზი შედგა. აქამდე თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პაციენტებს ანალოგიური სამედიცინო მომსახურება იმერეთის რეგიონში, კერძოდ, ქუთაისში, ერთვნულ სამედიცინო ცენტრში უტარდებოდათ, რაც გარკვეულ ხარჯებთან და დროის ფაქტორთან იყო დაკავშირებული.

დიალიზზე მყოფი ადამიანები თვლიან, რომ სამტრედიაში მსგავსი ტიპის სამედიცინო დაწესებულება ჩვენს მუნიციპალიტეტს რეგიონალურ მნიშვნელობას შესძენს. თუ ადრე აბაშლები, ვანელები, ხონელები, მარტვილელები, ლანჩხუთელები, ქუთაისისა და ბათუმის სადიალიზო ცენტრებს მიმართავდნენ, 2015 წლის პირველი სექტემბრიდან მათ გზა შეუმოკლდათ და ხარჯებიც შეუმცირდათ. განსაკუთრებით ეს მოვლენა იმ სამტრედიელებს ახარებთ, რომლებიც თირკმლის უკმარისობით არიან დაავადებულები. ბოლო მაჩვენებლით მათი რაოდენობა 41-ია.



სამტრედიაში ცენტრის გახსნას ხელი მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამაც შეუწყო. პროფესიით ექიმი თურქი მეპატრონე, მეჰმედ დემერჩი თვლის, რომ ჩვენი ქალაქი რეგიონის ყველა მეზობელი რაიონისთვის დასამხარი ადგილია.

პირველ სექტემბერს სამტრედიის სადიალიზო ცენტრში პირველი დიალიზი 7 პაციენტს ჩაუტარდა. როგორც ადგილზე მისულებს აგვიხსნეს, მაღალკვალიფიციური მედპერსონალი ყოველდღიურად, ჯერჯერობით, ორ ცვლაში საშუალოდ 50 პაციენტს მოემსახურება. თუმცა იქვე დასძინეს, რომ მოთხოვნის შემთხვევაში აპარატურის რაოდენობა გაიზრდება.

ნიკოლოზ ნიკოლეიშვილი, ზურაბ ქორიძე, გრიგოლ მიქაუტაძე, ციალა გიორგაძე და კიდევ რამდენიმე სამტრედიელი 4-5 წელია, თავიანთი შერყეული ჯანმრთელობიდან გამომდინარე ამ საქმით ძალიან იყვნენ დაინტერესებულები. მათ კვირაში სამჯერ ქუთაისში, ბათუმსა და თბილისში სიცოცხლის გასახანგრძლივებლად შესაბამის სამედიცინო ცენტრებში უხდებოდათ სიარული. პირველი სექტემბრის მოვლენას ეს პაციენტები და მათი ოჯახის წევრები სიხარულითა და კმაყოფილებით შეხვდნენ.

''სამტრედიის მაცნემ'' ნიკოლოზ ნიკოლეიშვილთან გასაუბრება მოახერხა: ''8 წლის წინ რომ დავიწყე დიალიზი, თბილისიდან ქუთაისში გადმომაგზავნეს. მართალია, ეს სამედიცინო მომსახურება პროგრამაში ჩართულებისთვის, მათ შორის ჩემთვის, უფასოა, მაგრამ სხვა ქალაქში კვირაში სამჯერ მოძრაობა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა სირთულეებთან არის დაკავშირებული. მარტო გზა კი არ იყო პრობლემა, ქუთაისში ჩასული პაციენტებისთვის სადიალიზო აპარატების რაოდენობა არ იყო საკმარისი. ხან ბათუმში მივდიოდით, ხან თბილისში. სამტრედიაში ამ ცენტრის გახსნამ განტვირთვა გამოიწვია და ხალხს დიდი საშველი მისცა. რაც სამტრედიის სადიალიზოში ვნახეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აქ დაგვხვდა უმაღლესი ხარისხის, ბოლო თაობის, 2015 წლის ''ოსმოსის'' _ წყლის ფილტრაციის დანადგარი, რომელიც უმნიშვნელოვანესია ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობისთვის. წარმოდგენილია მსოფლიოში ლიდერი კომპანია ''ფრეზენიუსის'' დანადგარი, მაღალკვალიფიციური მედპერსონალი. არ მინდა ყურადღების მიღმა დაგვრჩეს და ღვაწლი დავუკარგოთ ორ კარგ სამტრედიელს, შენობის მეპატრონეებს, პაატა ერქვანიძეს და ლაშა ნიკურაძეს. ეს ახალგაზრდები მუშაობის დაწყების დღიდან ცენტრს ყველანაირად მხარში უდგანან''.






ზურაბ ქორიძეც სამტრედიელია, სოფელ ნოღის მკვიდრი. 52 წლის მამაკაცი 9 წელია, დიალიზზეა. სამტრედიაში ამ ტიპის სამედიცინო ცენტრის გახსნამ ისიც გააბედნიერა: ''9 წლის წინ თბილისში ვიღებდი მომსახურებას. 8 წელი ქუთაისის პაციენტი ვიყავი. ამჯერად სამტრედიაში ვივლი, რაც ძალიან მახარებს. რა თქმა უნდა, დიდი შეღავათია ჩემისთანა ადამიანებისთვის. აქ ისე ვგრძნობ თავს, როგორც ჩემს სახლში. ყველაფერი ახალია, თანამედროვე, კეთილმოწყობილი. მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი და დადებითი აურა. ღმერთი გაახარებს ამ ხალხს''.

ნეფროლოგიისა და ჰემოდიალიზის კლინიკის გახსნას სამტრედიაში ადგილობრივი ხელისუფლებაც კმაყოფილებით შეხვდა. ფაქტთან დაკავშირებით ''სამტრედიის მაცნე'' კომენტარისთვის ლევან ახობაძეს დაუკავშირდა.

ლევან ახობაძე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: ''სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სოციალურ პროგრამაში გაითვალისწინა დიალიზზე მყოფი მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობა. 2012 წლიდან ეს პროგრამა მუშაობს. ამ მიზნით მიმდინარე წლის ბიუჯეტში 76 300 ლარია ჩადებული. დღემდე ჩვენთან 34 ბენეფიციარი იყო დაფიქსირებული. ერთი თვის წინ სამი მათგანი გარდაიცვალა. დარჩენილ 31-ს ყოველთვიურად 200-200 ლარით ვეხმარებით. სამტრედიაში ამ ოფისის გახსნას უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ. ჩვენს თანაქალაქელებს ამიერიდან გაუადვილდებათ პროცედურების ჩატარება''.

ნეფროლოგიისა და ჰემოდიალიზის კლინიკა ''NDC'' სამტრედიაში 2015 წლის 1 სექტემბერს გაიხსნა. დღემდე თუ როგორ ვითარდება მოვლენები, ამაზე კომენტარი კლინიკის მთავარ ექიმს, ექიმ-ნეფროლოგს, ზაზა მეგრელაძეს ვთხოვეთ: ''ბოლო წლებია, ძალიან იმატა ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტების რაოდენობამ, რაც გამოწვეულია თირკმლის სხვადასხვა პათოლოგიებიდან, დიაბეტიდან, ასევე რისკის ფაქტორია ხანგრძლივად მაღალი არტერიული წნევა.



ვინაიდან დღესდღეობით ჰემოდიალიზის ცენტრები გადატვირთულია, ამდენად მოითხოვა საჭიროებამ, ქალაქ სამტრედიაში, როგორც საკვანძო ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელიც ესაზღვრება ვანს, ლანჩხუთს, ხონს, გახსნილიყო ცენტრი. მინდა, გითხრათ, რომ მისი ერთ-ერთი მეპატრონე თურქი, პროფესიით ექიმ-ნეფროლოგი მეჰმედ დემერჩია. მას მსოფლიოს რამდენიმე ქალაქში აქვს ანალოგიური კლინიკები გახსნილი. საქართველოში კი მისი არჩევანი სამტრედიაა. დღეისთვის 15 აპარატი გვაქვს. ''ფრეზენიუსის'' ერთ-ერთი ბოლო მოდელი, რაც შეეხება წყლის გამწმენდ სისტემას, ე. წ. ''ოსმოსს'', საქართველოში სამტრედიის სადიალიზო ცენტრშია. უნიკალურია თავისი ტექნიკური მონაცემებით. ამდენად, ჩვენთან მიღებული მომსახურება იქნება უფრო მაღალი დონის.

ჩვენ უახლოეს დღეებში ასევე გვექნება უთანამედროვესი ლაბორატორია, რომელიც ჩაატარებს ფართო სპექტრის ლაბორატორიულ კვლევებს. ჩვენი პლუსია ისიც, რომ აქტიურად ვცდილობთ, ადგილობრივი კადრები დავასაქმოთ''.

ნეფროლოგიისა და ჰემოდიალიზის კლინიკა ''NDC'' სამტრედიაში პრეზენტაციის გამართვას უახლოეს დღეებში აპირებს, სადაც რეგიონის პირველი პირები იქნებიან მოწვეულნი.

# იმედა გოგავა დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტის მსმენელია

**ნინო ნანიტაშვილი**

***26 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე "რესპუბლიკური პარტიის" სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე იმედა გოგავა უკრაინის დედაქალაქ კიევში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. ეს იყო დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული სემინარის ფარგლებში მოწყობილი ღონისძიება, რაც ითვალისწინებდა ერთკვირიან სემინარს. ეს უკანასკნელი გასაუბრებით დამთავრდა, რის შედეგადაც იმედა გოგავა "დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტის" მსმენელად ჩაირიცხა. "სამტრედიის მაცნე" "რესპუბლიკური პარტიის" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს კიევიდან დაბრუნების შემდეგ დაუკავშირდა და გთავაზობთ მასთან ექსკლუზიურ ინტერვიუს.***

**_ ბატონო იმედა, ერთთვიანი უკრაინული ვოიაჟი რა მიზანს ემსახურებოდა?**

_ მოგახსენებთ, რომ უამრავ სემინარში მაქვს მონაწილეობა მიღებული, რომელიც ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა დროს გახლდათ ორგანიზებული, თუმცა, ჩემდა გასაკვირად, შემიძლია ვთქვა, რომ აღნიშნული სწავლება აბსოლუტურად განსხვავებული ფორმატის გახლდათ, რამეთუ ჩვენ საშუალება მოგვეცა, უცხოელ ტრენერებთან ერთად გვემსჯელა და რეალურად განგვეხორციელებინა ყველა ის პროექტი, რომელიც თეორიულად ჰქონდათ განსაზღვრული ჰოლანდიელ და გერმანელ ტრენერებს. ჩვენთან, ქართველებთან ერთად იმყოფებოდნენ ბელორუსები და მოლდაველები. თუმცა, საბოლოოდ, გასაუბრება წარმატებით მხოლოდ 30-მა პროცენტმა გაიარა. მათ შორის გახლდით მეც. აქედანვე ვიტყოდი, რომ უკრაინული ტრენინგი ჩემთვის ბევრის მომცემია. ამ ცოდნას და გამოცდილებას, შევეცდები, სამტრედიაში აქტიურად გამოვიყენებ.

**_ სასურველი იქნება, ბატონო იმედა, უკრაინული ტრენინგის კონკრეტულ პლუსებზე ვისაუბროთ.**

_ თავშივე აღვნიშნე, რომ შერჩევა მოხდა პოლიტიკური ნიშნით, მიზანი იყო კვალიფიკაციის ამაღლება. კერძოდ, არჩევნების დაგეგმვა, შედეგების სასურველ კონდიციამდე მიყვანა, მედიასთან ურთიერთობები, ამომრჩევლის სეგმენტებად დაყოფა, პრიორიტეტების დაგეგმვა, ამომრჩეველთან მარტივი მესიჯების გაგზავნა, სტატისტიკის როლის მნიშვნელობა, როლის ამაღლება პოლიტიკურ ასპექტში. იყო ასევე უშუალოდ ურთიერთობა ხალხთან, იქიდან ინფორმაციების მიღება, დამუშავება, მედიამდე მიტანა, რომელიც განსაზღვრავდა ზოგადად ჩვენი მუშაობის ხარისხს. მინდა, გითხრათ, რომ ძალიან დატვირთული სამუშაო გრაფიკი გვქონდა, თუმცა იმდენად საინტერესო, რომ ვერც კი ვატყობდით დროის გასვლას.

**_ ალბათ, მკითხველს დააინტერესებდა, თუ ვისი დაფინანსებით იმყოფებოდით უკრაინაში?**

_ აღსანიშნავია, რომ სწავლის პროცესს და ადგილზე მომსახურებას "კიევის დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტი" აფინანსებდა.

რაც შეეხება მგზავრობას, ეს საკუთარ თავზე ავიღეთ. მომდევნო სესიები უკვე ინსტიტუტის ხარჯზე იქნება.



# აგვისტოს პრემიის რკინიგზელებში უკმაყოფილებას იწვევს

**ნინო ნანიტაშვილი**

***აგვისტოს პრემიამ ასეულობით რკინიგზელი გულნატკენი დატოვა. საქმე იმაში გახლავთ, რომ დარგის მუშაკები მოუთმენლად ელოდნენ ზაფხულის ბოლო თვის, წელიწადის მეორე კვარტლის დასრულებას, ვინაიდან იყო დაპირება, რომ რკინიგზელები კუთვნილ პრემიას მიიღებდნენ.***

***21 აგვისტოს დარიცხულმა თანხამ, როგორც თავში მოგახსენეთ, ასეულობით ადამიანში გაწბილება გამოიწვია. უკმაყოფილო მასამ რკინიგზელთა "ახალ პროფკავშირს" მიმართა და დახმარება სთხოვა.***

***ორგანიზაციამ, რომელიც 2013 წლის 25 ივნისს შეიქმნა, გამოთქვა მზაობა, რომ ნებისმიერ სიტუაციაში ნებისმიერი წინააღმდეგობის ფასად თავიანთი პროფესიული კავშირის წევრებს დაიცავდნენ.***

***2013 წლიდან დღემდე მოყოლებული სამტრედიელ რკინიგზელებს პრობლემის მეტი რა ჰქონდათ და ეტაპობრივად "ახალი პროფკავშირებიც" ხშირად ერთვებოდა ამა თუ იმ დავასა თუ მოლაპარაკებაში, მაგრამ აგვისტოს მოვლენებმა უკმაყოფილოთა რაოდენობა ერთიორად გაზარდა. "ახალ პროფკავშირებს" რკინიგზელთა განცხადებების ტალღა მოაწვა, ისინი ერთადერთს, პრემიების არასწორად გაცემას აპროტესტებდნენ.***

***ზოგადად, როგორ აფასებენ რკინიგზაში მოვლენებს, კონკრეტულად აგვისტოს პრემიის გაცემის საკითხს, სამართლიანად მიაჩნიათ თუ არა უპრემიოდ დარჩენილი რკინიგზელთა პროტესტი და რა გზებით აპირებენ "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებას, ამაზე სასაუბროდ გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში "საქართველოს რკინიგზელთა" "ახალი პროფკავშირების" დასავლეთის რეგიონის საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელი, დიმიტრი სულაქველიძე მოვიდა.***



**_ ბატონო დიმიტრი, რა ინფორმაციას ფლობთ მიმდინარე წლის აგვისტოში საქართველოს რკინიგზის მიერ თანამშრომლებზე გაცემული პრემიების შესახებ?**

_ სისტემა, სამწუხაროდ, აღმოჩნდა ხარვეზიანი, რაზეც "ახალი პროფკავშირები" ბატონ მამუკა ბახტაძეს მიმართავს იმ რკინიგზელთა განცხადებებით, რომლებსაც ჰქონდათ მოლოდინი და ვერ მიიღეს პრემია. აქვე დავამატებ, რომ საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორი მამუკა ბახტაძე იმავდროულად გახლავთ საკადრო კომისიის თავმჯდომარე და "ახალი პროფკავშირების" თავმჯდომარესთან, ვიტალი გიორგაძესთან ერთად განიხილავს შესაბამის განცხადებებს. იმედს ვიტოვებ, რომ განცხადებები, რომელიც რკინიგზელებმა დაწერეს და ჩვენ დახმარებისთვის მოგვმართეს, გულდასმით იქნება შესწავლილი და მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდება.

**_ ბატონო დიმიტრი, დარგის მუშაკები რკინიგზელთა საპრემიო-სამოტივაციო სისტემაში, ასე თუ ისე, გარკვეულები არიან. მკითხველისთვისაც რომ იყოს ცნობილი, აგვისტოში პრემია რა კატეგორიას უნდა მიეღო?**

_ მოგვიწევს შორიდან შემოვლა. 2014 წლის გაფიცვის შედეგად "ახალმა პროფკავშირებმა" მიაღწია რვა პუნქტთან შეთანხმებას. ზუსტი დრო შემიძლია დაგისახელოთ, ეს იყო 2014 წლის 3 დეკემბერი. ყველა პუნქტს არ ჩამოგითვლით, მხოლოდ მე-5-ს შევეხები, სადაც მოცემულია საპრემიო-სამოტივაციო სისტემის დარგების სქემა და ვადები.

დებულებაში სიტყვასიტყვით წერია: "საპრემიო-სამოტივაციო სისტემის შეფასებას ექვემდებარება ყველა თანამშრომელი, რომელთა ნამუშევარი დრო მიმდინარე კვარტალში ფაქტობრივად, შეადგენს არა უმცირეს 2 კალენდარულ თვეს და მეორე _ შეფასება ვერ განხორციელდება თანამშრომლებზე, რომლებსაც მიმდინარე კვარტლის განმავლობაში მიღებული აქვთ სასჯელი". მარტივად ეს ასე იკითხება:

რკინიგზელი ამ სამი თვის განმავლობაში ნასარგებლები არ უნდა იყოს 1 თვეზე მეტი შვებულებით და ხელმძღვანელობისაგან არ უნდა ჰქონდეს მიღებული საყვედური. ჩვენს შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ პრემია არ დაერიცხა იმ კატეგორიასაც, რომელსაც ნამუშევარი აქვს სამივე თვე და არც არაფერი დაუშავებია. ამდენად, მათი პრეტენზიები სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია და მათ სახალხოდ ვპირდებით, რომ "ახალი პროფკავშირები" უსამართლოდ დაჩაგრული რკინიგზელების პრობლემას ბოლომდე გაჰყვება.

**_ ციფრებით არ გვისაუბრია, ბატონო დიმიტრი, საინტერესოა, თქვენს სამოქმედო არეალში, დასავლეთის რეგიონში რამდენი რკინიგზელია. მათგან რამდენმა მიმართა მამუკა ბახტაძეს განცხადებით?**

_ ახლავე გეტყვით, საქართველოში რამდენი რკინიგზელიც გვყავს. მათი რაოდენობა 13 000-სს შეადგენს. რაც შეეხება დასავლეთის რეგიონს, დასავლეთის რეგიონში 4000 გვყავს. საპრეტენზიო განცხადებით 300-მდე რკინიგზელი შემოვიდა. არ არის გამორიცხული, უახლოეს დღეებში რაოდენობა გაიზარდოს.

# ხელფასების გაორმაგება, საკუთარი ბაზა...

აი, ნაწილი საკითხებისა, რომელთა უმოკლეს დროში გადაწყვეტა პრიორიტეტულად მიაჩნია ააიპ კომპლექსური სპორტული სკოლის ახლად დანიშნულ დირექტორს, ბატონ ივანე კილტავას.

**1961 წელს დაიბადა, დაამთავრა გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფია-ბიოლოგია-ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი. აქვს 30 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება.**

**ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.**

_ კომპლექსურ სპორტულ სკოლაში 36 თანამშრომელია, ხელფასები იმდენად მცირეა, რომ აუცილებელია მისი გაორმაგება. საკადრო ცვლილებები ჯერჯერობით მოსალოდნელი არაა, თუმცა გამორიცხული არაფერია. _ აღნიშნა ბატონმა ვანომ.

წლების მანძილზე პრობლემად რჩება სპორტული სკოლისათვის საკუთარი ბინის, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და სპორტული ინვენტარის არარსებობა, რაც დიდ სირთულეებს უქმნის როგორც მწვრთნელ-მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს.

_ არ ვითხოვთ ევროპულ სტანდარტებს, საჭირო და აუცილებელი კი ნამდვილად გვესაჭიროებაო, ბატონმა ვანომ.

_ ჩვენის მხრივ ვულოცავთ ვანო კილტავას ააიპ კომპლექსური სკოლის დირექტორად დანიშვნას, ვიმედოვნებთ, იგი ყოველმხრივ შეუწყობს ხელს სკოლის მოსწავლეებს იმაში, რომ ამრავლონ სასახელო ტრადიციები, რომელთაც წლების მანძილზე არ თმობენ სპორტული სკოლის სპორტსმენები.

ისიც გვინდა ვირწმუნოთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ყურადღებით მოეკიდება და დროულად გადაჭრის სკოლის წინაშე არსებულ პრობლემებს, ნორჩ სპორტსმენთა შემდგომ წარმატებებზე რომ აისახება დადებითად.



***ლევან გაბეჩავა***

# სამტრედია ჩემი




შენთვის არავის უძღვნია ლექსი,
რომ ვერ გამჩნევენ ალბათ ბედია,
შენ ხომ სახელად ატარე დაბა _
თან მხოლოდ დაბა და სამტრედია.
წინათ ბორბლები დილიჟანსების
გაიძახოდნენ ტობა, საჩინო,
ეხლა კი მინდა უზარმაზარი
შენში ქალაქი აღმოვაჩინო.
ინდუსტრიული დროის სიმბოლო!
ინდუსტრიული დროის რეფლექსი!
პოეტებისთვის ჩემგან პირველად _
აღმოჩენილი: ქალაქი _ ლექსი!

*გალაკტიონი*

**ლევან გაბეჩავა**

''სამტრედია ჩემი'' _ ამ სათაურით გამოქვეყნებულ შვიდ წერილში რამდენადმე შევეცადეთ, მკითხველთათვის ქალაქ სამტრედიის დაარსებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტები შეგვეხსენებია.

145 წლისაა ქალაქი სამტრედია, ბევრის მომსწრე და მნახველი.

ხონთან, ქუთაისთან, თბილისთან შედარებით სრულიად ახალგაზრდა ქალაქს, დიახაც რომ, აქვს საბაბი ღირსეული წარსულით თავის მოწონებისა. პირველი და მეორე მსოფლიო ომები, შუა პერიოდში ოქტომბრის რევოლუცია, 1937 წლის სისხლიანი რეპრესიები და მანამდე ქართველთა მოწინავე ნაწილის მიერ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარება, აფხაზეთი, სამაჩაბლო, 2008 წლის აგვისტო. ამ და სხვა მოვლენებში ფასდაუდებელია წვლილი სამტრედიელებისა.

რკინიგზის განვითარებამ დაუდო სათავე ქალაქის დაარსებას, ღირსეული რკინიგზელებით ამაყობს სამტრედია.

ბოქაულები: მაისურაძე, მახარაძე, რაიონული კომიტეტისა და რაიონული საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელები: პოპოვი, არობელიძე, ტურძელაძე, ნიშნიანიძე, ცქიტიშვილი, შავიშვილი, ფანცულაია, კოხრეიძე, იმედაძე, გოგიბერიძე, მინაშვილი, დუნდუა, რევიშვილი... მრავალი ადამიანის დასახელება შეიძლება, რომელთა სახელისუფლებო სტრუქტურებში მუშაობისას აშენდა, დამშვენდა და გალამაზდა ჩვენი ქალაქი.

ისტორია ვერ იტანს შელამაზებას, თუ გასული საუკუნის დასაწყისში ქალაქის ცენტრში ულიმღამო, უსახური ქოხმახები მომრავლდა, იმავე საუკუნის 60-70-იან წლებში მშენებლობის ბუმი იყო ქვეყანასა და რკინიგზელთა ქალაქში.

კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული, ჯანდაცვის ობიექტები, მუზეუმები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები, ამბულატორიები... ყველაფერი კეთდებოდა ადამიანთა კეთილდღეობისათვის.



წონიანი, ხელშესახები იყო ყოველთვის ქვეყნის ეკონომიკაში სამტრედიელთა პირადი წვლილი.

ათამდე ერის წარმომადგენელი ძმურად, მეგობრულად ცხოვრობდა ამ პატარა ქალაქში და ერთმანეთის ჭირსა და ლხინს მეგობრულადვე იზიარებდნენ, ტრადიცია დღესაც გრძელდება.

ისევ და ისევ გასულ საუკუნეში, ქვეყნის მასშტაბით გიგანტურად მიჩნეული ფაბრიკა-ქარხნებიც გუგუნებდა სამტრედიაში და ტროლეიბუსიც დასრიალებდა მის ქუჩებში.

ბაღები, სკვერები, მუზეუმებიც დაარსდა და ბუნებისაგან ბოძებული თერმული წყლის წყალობით კურორტის სტატუსიც დაისაკუთრა სამტრედიამ. სამწუხაროა, რომ ბევრ რამეზე წარსულში გვიწევს საუბარი.

სამწუხაროდ, დღეს რიგ შემთხვევებში ძველი დიდების ნაშთიც კი აღარ შემოგვრჩა. (ამაში კი დამნაშავე არავინაა?!).

ბოლო 25 წელია, კომუნისტებს ვაძაგებთ, მმართველობის სტილს, მეთოდებს ვუწუნებთ, მათ მიერ აშენებულის ნგრევისას გამდიდრებულნი კი, ისევ ისე ცდილობენ თავი ანგელოზებად, ერისკაცებად წარმოგვიდგინონ, როგორც ცხვრების ქურქში გახვეულმა მგლებმა.

ძველი ნაგები მტკიცეა და საიმედო, ახალნაშენები კი ორ-სამ წელიწადში კვლავ ასაშენებელია... (არც ამ შემთხვევებშია დამნაშავე ვინმე).

დღეს მავანნი, საზოგადო ქონების ჩალის ფასად შეძენით რომ გამდიდრდნენ, გაბღენძილები დადიან, ცოტას ქველმოქმედობენ კიდეც (ოღონდ აფიშირებით). ნამდვილ კოლორიტთა სახელები კი დრომ შემოგვინახა, თაობიდან თაობას გადაეცემა მათი ამაგი, ღვაწლი...

ქალაქი ფეხდაფეხ რომ მოიარო, ვერსად ნახავთ იმ ადამიანთა მაღაზიებს, აფთიაქებს, სასტუმროებს, ვის დროსაც აშენდა, დღითიდღე ლამაზდებოდა სამტრედია. სამაგიეროდ, ბევრმა თავისსავე სიცოცხლეშივე მოახერხა საკუთარი გვარ-სახელის უკვდავყოფა.

ბრძენია ხალხი, არა მეპატრონეთა მიერ მინიჭებული სახელით, ხშირ შემთხვევაში მფლობელის გვარ-სახელით დამკვიდრდა ქალაქში ესა თუ ის ობიექტი...

ყველაფერი ხალხისთვისო და კეთდებოდა ყველაფერი ხალხისთვის.

საქმე ლაპარაკის ნაცვლადო და ლაპარაკი მეტი გამოგვივიდა, ვიდრე საქმე ნაკეთები.

წარსულის ძაგებაში ბადალი არ გვყავს ქართველებს.

უკეთესი წლების მოლოდინში გაუფასურებული ეროვნული ვალუტის პირისპირ აღმოჩნდა იმედდაკარგული ხალხი.

თურქეთ-საბერძნეთ-იტალია-ესპანეთში გადახვეწილ დებს, დედებს, ცოლებს, ქალიშვილებს ახლა მამაკაცებიც გაჰყვნენ და...

დარჩა ქვეყანა, ქალაქები, სოფლები, ქუჩები ცარიელი, მოხუცების ამარა, სოციალურ დახმარებებსა და თურქულ სერიალებზე მიჩერებულები.

პარტიებად, _ ისტებად დაყოფილი ძმა ძმას, მეგობარი მეგობარს გაუუცხოვდა, სულაც არაა ერთი დღე მეორეზე, მესამეზე უკეთესი, საიმედო და პერსპექტიული.

ათეული წლების წინ სამუშაო იყო (თუმცა, აქა-იქ, დიახ, აქა-იქ იყვნენ ისეთებიც, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას რომ არიდებდნენ თავს). ახლა კი, ახლა ხალხს მუშაობა უნდა და სამუშაო არაა.

მიდის დრო, ვერავინ აჩერებს მას.

145 წლის გახდა სამტრედია.

მნიშვნელოვანი მოვლენაა იგი ყოველი სამტრედიელისათვის, იმ ადამიანთათვის, რომელთათვისაც სამტრედიელობა დიდი პატივია, რომელთა აკვანიც სამტრედიაში დაირწა.

არაერთხელ დაანონსდა, რომ ქალაქის იუბილე შემოდგომაზე აღინიშნება...

შემოდგომაც მოვიდა...

დაბოლოს, იუბილეს ვულოცავთ თითოეულ სამტრედიელს, მათ, ვისთვისაც ძვირფასია ქალაქის ღირსეული წარსული.

ვულოცავთ საპატიო სამტრედიელებს, ქალბატონ ირა მიქაშავიძეს, ბატონებს ჯემალ ღაღანიძეს, რომან ბექაიას, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანებს, სამღვდელო და სამონაზვნო დასს, დევნილებს, საქართველოში ბოლო ათწლეულებში განვითარებულმა მოვლენებმა იძულებით რომ გახადა სამტრედიელები.

ვულოცავთ ქალაქში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს, მშობლიურად რომ მიაჩნიათ სამტრედია.

გულწრფელად ვულოცავთ ჩვენს სასიქადულო მეცნიერს, პროფესორ ვაჟა თვალავაძეს, რომელმაც თავისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წიგნი სწორედ სამტრედიის რაიონის _ ქალაქის დაარსებისა და ზრდა-განვითარებასთან დაკავშირებულ ფაქტებს მიუძღვნა, რომელსაც ეგზომ ახარებს სამტრედიელთა უმნიშვნელო წარმატებაც კი.

იუბილეს ვულოცავთ ჩვენს სასიქადულო ახალგაზრდებს, სპორტსმენებს, მუნიციპალიტეტისა და ქალაქის თვითმმართველობის თავკაცებს...

ისევ ანთია ლამპიონები.

მერამდენედ იყივლეს მამლებმა.

სამარისებურ სიჩუმეს მეეზოვეთა ცოცხის ხმა არღვევს, ალიონიდანვე ფუსფუსებენ ქალაქის დიასახლისები.

ირიჟრაჟა, კეთილი სალმითა და ბედნიერი დღის სურვილით ეგებებიან ერთმანეთს სამტრედიელები.

იმედით ცოცხლობს ადამიანიო და, ჩვენც ხვალინდელი დღის იმედი გვასულდგმულებს.

ღვთისმშობლის წილხვედრია საქართველო, სამტრედია კი მისი ნაწილი.

ღვთისმშობლის კალთა გვფარავდეს!

უკეთესი მომავლის იმედი არ მოგვშლოდეს!

ქალაქ სამტრედიის დაარსების 145 წლისთავს გილოცავთ, ძვირფასო სამტრედიელებო!

**ერისკაცები, რომელთა სამტრედიელობითაც ვამაყობთ და ვიამაყებთ: წმინდა მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა).**
**წმინდა ფილიმონ მგალობელი (ქორიძე).**
**პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე.**
**აკადემიკოსები: აკაკი შანიძე, ბენედიქტე ბალავაძე, იუსტინე ჯანელიძე, ივერი ფრანგიშვილი.**
**პროფესორი _ ანდრია რაზმაძე.**
**მსახიობები: აკაკი კვანტალიანი, ეროსი მანჯგალაძე...**

---

# "სამტრედიის მაცნე" 85

**ლევან გაბეჩავა**

***მიდის დრო, კაცი, რომლის შეხვედრაც გაზეთის მოახლოებულ იუბილესთან დაკავშირებით გვინდა მკითხველს კიდევ ერთხელ მოვუთხროთ, ჩვენი უფროსი კოლეგა და მეგობარი, ბატონი რომან ბექაიაა.***

***წლებმა ვერაფერი დააკლეს, პირიქით, მეტი გამოცდილება, სიბრძნე შესძინეს.***

***უკვე ღვაწლმოსილმა გაზეთის მემატიანის ტიტულიც დამსახურებულად მოირგო და დამსახურებულადვე მიანიჭეს თანაქალაქელებმა საპატიო სამტრედიელის წოდება.***

1968 წელი იყო, როცა გაზეთ ''წინსვლას'' რედაქციაში სამუშაოდ ახალგაზრდა ფოტოკორესპონდენტი მიიღეს. არ შემცდარან. რაკიღა ანალოგიური შტატი არ ჰქონდათ მეზობელი რაიონების რედაქციებს, ბატონ რომანს ხშირად უწევდა ქალაქიდან ქალაქში, რაიონიდან რაიონში სტუმრობა და ვერცხლისწყალივით მოძრავი, მოუსვენარი ახალგაზრდა დარსა თუ ავდარში დადიოდა განუყრელი ფოტოაპარატით. დადიოდა და როგორც შემდეგ ჩვენი უფროსი კოლეგა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ბატონი კორნელი ჩიხლაძე იტყვის, ქალაქის ისტორიას ფოტოთი წერდა.



კადრებად აქცევდა ჩვენი რომანი მნიშვნელოვან მოვლენებს, ფაქტებს. თითოეული მათგანი კი მეტ მნიშვნელობას იძენს დროის სვლასთან ერთად.

ათასობით უნიკალური ფოტო, რომელიც დღეისათვის რედაქციის არქივის კუთვნილებაა, სწორედ რომან ბექაიას მიერაა გადაღებული.

შესამჩნევია, თუმცა თავად არაფერს ამბობს იმაზე, რომ ბოლო წლებში სხვადასხვა ავტორთა მიერ გამოცემულ წიგნებში უხვადაა გამოყენებული რომან ბექაიას ფოტოები, მისი გვარ-სახელი კი არსადაა ნახსენები?!

ვინც მოიცლის და ერთხელ მაინც გადახედავს 50 წლის მანძილზე რომანის მიერ გადაღებულ ფოტოებს, წარსულში იმოგზაურებს, ნამდვილად არ ჩათვლის გაცდენილ დროს ფუჭად.

და მაინც, ვინ არის რომან ბექაია?

კაცი, რომელსაც უყვარს და რომელიც ამაყობს ბრწყინვალე ოჯახით.

კაცი, რომელსაც არასოდეს ტოვებს ჯანსაღი იუმორის გრძნობა.

კაცი, რომელიც სევდით იგონებს იმ ადამიანებს, რომელთა გარემოცვაშიც ათეული წელი გაატარა, ბოლომდე რომ იხარჯებოდნენ მასავით. ბევრნი არიან ისინი: აკაკი კოხრეიძე, გრიგოლ სიხარულიძე, ჟორჟი ჯანჯღავა, ვაჟა ნიკოლეიშვილი, შოთა მაღლაკელიძე, ოთარ ნაფეტვარიძე, ანზორ გრიგოლია, იური გაბედავა, ზოია კალანდაძე, სოსო ხაჟალია...

ბატონ რომანს, უკვე ჩვენი გაზეთის მემატიანეს, გულით უხარია ''სამტრედიის მაცნეს'' წარმატება, უყვართ იგი რედაქციაში, მხიარული შეძახილით ვეგებებით უფროსი კოლეგის ყოველ მოსვლას და ისიც კვირაში ერთხელ მაინც დაგვხედავს. ''რაც გინახავთ, ვეღარ ნახავთო'', დაგვაიმედებს და დაგვემშვიდობება.

რაზე სწყდება გული?

ქვეყანაში ჯერ კიდევ შენარჩუნებულ მძიმე სოციალურ ყოფაზე, საყოველთაო უმუშევრობაზე, ძმაზე გაუცხოებულ ძმაზე, დაპირისპირებულ, გათითოკაცებულ საქართველოზე, აფხაზეთზე, სამაჩაბლოზე...

რაზე ოცნებობს?

ოჯახის კეთილდღეობაზე, ქვეყნის აღორძინებაზე, გაზეთის ტირაჟის ზრდაზე...

რას ვუსურვებთ, ჩვენს უფროს კოლეგას?

წელთა სიმრავლეს, უზრუნველ ხანდაზმულობის წლებს, ამაგის ჯეროვან დაფასებას...

გულწრფელად ვულოცავთ მას ''სამტრედიის მაცნეს'' 85 წლის იუბილეს, გაზეთის მიერ ღირსეულად განვლილ ამ წლებში რომან ბექიას ნახევარსაუკუნოვანი წვლილიცაა, მეტად ხილვადი, შეუფასებელი, დიახაც რომ, საამაყო!

# პიონერულიდან მულტიკულტურულ ბანაკამდე

**თეა ბაბუნაშვილი**





ბანაკებში გატარებული პიონერული წარსულის შემდეგ უდარდელი ბავშვობა აყვავებული ქვეყნის ნოსტალგიად ჯერ კიდევ შემორჩა მეხსიერებას. საზღვაო კურორტ ურეკის გზას გაყოლილებს, დილიდანვე წითელი ყელსახვევის ფრიალის, პიონერული პატაკის და სხვა პარტიული ატრიბუტების თემა აგვეკვიატა. არადა, მულტიკულტურული ბანაკი, "რეგიონული განვითარების რესურსცენტრის" ორგანიზებით და ამერიკის საელჩოს დაფინანსებით ურეკში რომ ახორციელებს თავის პროგრამას, ძალიან შორს არის კომუნისტური რეალობისგან. პროექტის პარტნიორები სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის, მშვიდობის კორპუსის მოხალისეები და მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის კურსდამთავრებულები სტუმრებს ბანაკის ირგვლივ ესაუბრებოდნენ.

13-დან 17 წლამდე 50-მა მოსწავლემ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, რომლებიც სპეციალური აპლიკაციის წარდგენის საფუძველზე შეირჩნენ, შემეცნებითი და გასართობი აქტივობის პარალელურად, ზღვაზე მხიარული დასვენებით გაატარეს სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილი არდადეგების ბოლო დღეები.

სასტუმრო "PRIMA+" 30 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე ახალგაზრდების მასპინძელი იყო. სასიამოვნო გარემო აქ თავად მოსწავლეებმა შექმნეს. შემეცნებითი და სასწავლო სემინარები ერთმანეთის ინტელექტუალური შესაძლებლობების უკეთ გაცნობის შესაძლებლობა იყო. მულტიკულტურული ბანაკი საშუალებას აძლევდა მათ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისა და ეთნოსის თავისებურებებსა და წეს-ჩვეულებებში უკეთ გარკვეულიყვნენ. უტარდებოდათ ინგლისური ენის ტრენინგებიც.

პროექტის დირექტორი სოფიო კირთაძე მის სამომავლო პერსპექტივებს აცნობდა სამტრედიიდან სტუმრად ჩასულ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. მან სურვილი გამოთქვა, პროექტის გაღრმავების და გაგრძელების მიზნით მუშაობა ზამთრის ბანაკის ანალოგზეც დაიწყონ, მით უმეტეს, რომ პროექტის ხელმძღვანელის და ბანაკის მონაწილეების სურვილები ამ კუთხით ერთმანეთს ემთხვევა. "ეს მულტიკულტურული ბანაკი პირველია საქართველოში. კონკურსი მონაწილეების შესარჩევად აპრილში გამოცხადდა. მასში მონაწილე 600 მოსწავლისგან მხოლოდ 50 შევარჩიეთ. პროექტი ახალგაზრდების მოდულაციას, ინტეგრაციას, ეთნიკური უმცირესობების კულტურის გაცნობას, ტოლერანტული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას გულისხმობს." _ ამბობს სოფიო კირთაძე. იგი პროექტის ფარგლებში დაბეჭდილ წიგნზეც საუბრობს, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ინგლისურენოვანია. მისი თარგმნის შემდეგ შესაძლებელია სკოლაშიც დარიგდეს და სამოქალაქო სწავლების პედაგოგებისთვის კარგი საჩუქარი გახდეს.

"რომ გავიგე, პროექტს სოფო ხელმძღვანელობდა, უკვე ვიცოდი, რომ რაღაც საინტერესო და კარგი იქნებოდა." _ ეს მაჟორიტარ გიორგი კახიანის შეფასებაა პროექტის დირექტორის მისამართით გამოთქმული. რაც შეეხება მონაწილეებს, "მიხარია, რომ ასეთი კარგი თაობა ხართ." _ ამ სიტყვებით მიმართა მან მოსწავლეებს მას შემდეგ, რაც სესიას დაესწრო. მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერი ფოცხვერიამ საერთო მისალმების შემდეგ სამტრედიელი ბავშვები მოიკითხა. ყველა მონაწილეს სამომავლოდ მეგობრობის გაგრძელება და წინსვლა უსურვა. თავად კი პიონერული ბანაკები გაიხსენა და ამ ორი სხვადასხვა დატვირთვის მქონე ბანაკის შედარებისას, პიონერულის არაერთხელ მონაწილემ, უპირატესობა მულტიკულტურულ სიახლეს მიანიჭა. საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, როგორც ყოფილი პედაგოგი, საკლასო ოთახისა და ბავშვებთან მუშაობის განსაკუთრებულ მონატრებასა და სიყვარულს გამოხატავდა თავის სიტყვებში. მათთან ერთად იქ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური, გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მიხეილ ლეჟავა, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წევრები და მედიის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

სამტრედიელ სტუმრებთან ერთად ბანაკს აჭარის მთავრობის საფინანო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ქობულეთის მაჟორიტარი ანზორ თხილაიშვილი სტუმრობდა, რომელიც ბანაკის ხანგრძლივობის გაზრდის სურვილს გამოხატავდა და აღნიშნავდა, რომ ამგვარი პროექტები ბავშვების კრეატიულად აღზრდის შანსებს ზრდის.

თამუნა ჯინჭველეიშვილი ერთ-ერთია იმ შვიდი სამტრედიელისგან, ბანაკის მონაწილეთა რიგებში რომ იყვნენ. "ძალიან მიხარია, რომ დღეს აქ ვარ. მულტიკულტურა არის თემა, რომელსაც ვეხებით და ჯერ ისევ არ ამოგვიწურავს. ამ პროექტის ფარგლებში იმდენი საინტერესო რამ შევიტყვეთ, რაც შეიძლება, მთელი წლის მანძილზე სკოლაშიც ვერ ავითვისოთ. ძალიან ბედნიერი ვარ აქ ყოფნით. მადლობა პროექტის ორგანიზატორებს. ვისურვებდი მის გაგრძელებას. ეს ბანაკი ჩემთვის პირველია და ვეცდები, ამიერიდან არც ერთი ბანაკი არ გამოვტოვო. ყველა აქტივობამ დიდი ცოდნა მოგვცა და მადლობა ამისთვის ბანაკის ორგანიზატორებს." _ ამბობდა იგი. მის აზრს უკლებლივ ყველა მონაწილე იზიარებდა. მულტიკულტურული ბანაკის კრეატიულად მოაზროვნე მონაწილეები, დახურვის ცერემონიალამდე ერთი დღით ადრე, ურთიერთობების სამომავლოდ გაგრძელების გეგმებს აწყობდნენ.

# პირველკლასელები "ლენოვოს" ფირმის ნოუთბუქებით ისწავლიან

წელს საქართველოს, მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის პირველკლასელი "ლენოვოს" ფირმის ნოუთბუქს მიიღებს.

7 სექტემბერს სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოს თანამშრომლებმა 490 ნოუთბუქი ჩამოიტანეს. როგორც რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ელენე ბოხუამ გვითხრა: "ეს პირველი ეტაპია, რაც შეეხება მეორე ეტაპს, ანუ ნოუთბუქების დამატებით ჩამოტანას, უახლოეს დღეებში განახორციელებენ. ასე რომ, 14 სექტემბრისთვის სამტრედიელ ყველა პირველკლასელს თავისი ნოუთბუქი ექნება". ელენე ბოხუას ინფორმაციით 35 საჯარო, მართლმადიდებლური სკოლა და შპს "ცოდნა" 14 სექტემბერს დაიწყებს სწავლას.

9 სექტემბრის მაჩვენებლით სამტრედიის საჯარო სკოლებში მიმდინარე ყველა სარემონტო სამუშაო თითქმის დასრულებულია. ამდენად, სწავლის დაწყებას ხელს არაფერი შეუშლის.

ღანირის საჯარო სკოლა წელს 13 პირველკლასელს გაუღებს კარს. ისინი უკვე დარეგისტრირებულნი არიან. არ არის გამორიცხული, ამ რაოდენობამ ცვლილება განიცადოს.

9 სექტემბერს სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან პირველკლასელთა ნოუთბუქები მარინა მანჯგალაძემაც გაიტანა. ღანირის საჯარო სკოლის ბუღალტრის შეფასებით, პირველკლასელთათვის განკუთვნილი კომპიუტერების ხარისხი ყოველწლიურად უმჯობესდება: "წელს ჩვენს პატარებს განსაკუთრებით საუკეთესო ხარისხის ნოუთბუქები გადმოსცეს. წინასწარ ვიცი, ღანირელი პირველკლასელები ამ საჩუქრით მოხიბლულები დარჩებიან. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ღანირის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებს, მათ ვინც პირველკურსელი გახდა, სტუდენტობა მივულოცო. ჩვენს სასახელოდ ვიტყვი, რომ 10 კურსდამთავრებულიდან 7 ახალგაზრდა საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა. გვყავს ერთი აბიტურიენტი, რომელიც საპატრიარქოსთან არსებულ სემინარიაში აბარებს გამოცდებს, წმინდა გიორგის ტაძრის მედავითნე მარიამ მუშკუდიანიც მალე მიემატება თანაკლასელ სტუდენტთა რიგებს".

სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრში მისულებმა კიდევ ერთი მნიშვნელოვნად სასიამოვნო ინფორმაცია მივიღეთ, შარშანდელთან შედარებით საჯარო სკოლებში წელს 56-ით მეტი პირველკლასელი გვყავს.

***ნინო ნანიტაშვილი***



# კერიის მიზიდულობის ძალა

**ლევან გაბეჩავა**

***თავად ინტელიგენტი, ბევრის მომსწრე და მნახველი ქალბატონი ნათელა გელეიშვილი რომ განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით გამოირჩევა, დიდი ხანია ცნობილია. მისი ოჯახის თითოეული წევრისთვისაა დამახასიათებელი მეგობრობისა და ურთიერთობის მართლაც რომ განსაკუთრებული სტილი.***

***ამ დღეებში ჩვენმა უმცროსმა კოლეგამ შოთიკო პაპავამ გამაცნო ქალბატონი ამალია (ლია) მელქაძე, რომელიც სწორედ ქალბატონ ნათელა გელეიშვილთან ბრძანებულა სტუმრად და რიგ საკითხებში გასარკვევად გამგეობას მიაკითხა.***

საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა ქალბატონი ლია.

ჩხენიში დაბადებულა, რკინიგზის სამტრედიის 24-ე საშუალო სკოლა და საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაუმთავრებია. ეამაყება, მარიკა ლორთქიფანიძე, შოთა მესხია, ზაქრო შველიძე და სხვა გამოჩენილი მეცნიერები რომ უკითხავდნენ ლექციებს.

ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში რადიოკორესპონდენტთა ქსელის გამგე, ხალხთა მეგობრობისა და ებრაელთა ეთნოგრაფიული მუზეუმების მეცნიერ-თანამშრომელს მოსაგონებელი და გასახსენებელი, დიახაც რომ, ბევრი აქვს, განსაკუთრებით ხალხთა მეგობრობის მუზეუმში მოღვაწეობის წლებს იგონებს.

_ მუზეუმს ბატონი თეიმურაზ ბადურაშვილი ხელმძღვანელობდა, მეტად საჭირო საქმეს აკეთებდა მუზეუმი, ინტერნაციონალური აღზრდის კუთხით კი ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის ამ დაწესებულებას, შორს წაგვიყვანს იმ ადამიანთა ჩამოთვლა, სხვადასხვა წლებში მუზეუმს რომ სტუმრობდნენო, გვეუბნება ქალბატონი ლია და საუბარს ქართულ-ებრაულ მრავალსაუკუნოვან მეგობრულ ურთიერთბაზე განაგრძობს, იმ მეგობრობაზე მსოფლიოში თითქმის ანალოგი რომ არ მოეპოვება, არც ებრაელთა ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის, ბატონი გივი ღამბაშიძის წვლილის აღნიშვნა დავიწყნია ჩვენს რესპონდენტს, ორი ერის მეგობრული და კულტურული ურთიერთობის გაღრმავების საქმეში რომ შეაქვს. მეგობრობა ზეპარტიული, უკვდავი თემაა და ამ პროფილის მუზეუმების გამართულ, ყოვლისმომცველ მუშაობას უდიდესი, შეიძლება ითქვას, ეროვნული მნიშვნელობა აქვსო, _ დასძენს ქალბატონი ლია.



არაერთი ღირსეული ადამიანის აკვანი დაირწა სოფელ ჩხენიშში, მარტო ანდრია რაზმაძის _ ქართული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის სახელის მოხმობაც კმარა საამისოდ.

როგორც აღვნიშნეთ, ჩხენიშში დაიბადა ქალბატონი ლიაც, მერე წლების მანძილზე (დღემდე) დედაქალაქში ცხოვრობს, აქ მამა-პაპის ნაფუძვარზე სამიოდე თვალი სახლის გამართვა განუზრახავს, არის ამ გადაწყვეტილებაში წარსულის ნოსტალგიაც, ბავშვობასთან, ყმაწვილქალობასთან შეხვედრის სურვილიც და ყველაზე მთავარი _ კერიის მიზიდულობის ძალა.

საინტერესოდ ისაუბრა ქალბატონმა ლიამ ნათელა გელეიშვილის, ვაჟა ტერელაძისა და მისი მრავალწლიანი, შეუბღალავი მეგობრობის დეტალებზე. შევატყვეთ, საკუთარ თავზე გაცილებით ცოტა რომ გვითხრა, ვიდრე შეიძლებოდა, მისი პიროვნული მოკრძალებით, თავაზიანობით ავხსენით ყოველივე.

მართალია, თბილისში მოღვაწეობდა, თუმცა უხმაუროდ აკეთებდა საოცრად დიდ საქმეს საქართველოსთვის, სამტრედიისთვის. ამაზე მეტყველებს ერთი ფაქტი, სამტრედიის ენციკლოპედიის თავფურცელზე იმ ადამიანთა შორის, ენციკლოპედიის გამოცემის საქმეში რომ წვლილი შეიტანეს, ყოველგვარი რეგალიების გარეშეა ნახსენები ლია მელქაძე, ჩვენი რესპონდენტის გვარ-სახელი.

ეამაყება ჩხენიშელობა, სამტრედიელობა, სახელდახელო საჩუქარი _ 145 წლის ქალაქ სამტრედიის უტყვი მემატიანის, 85 წლის გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" უახლოესი ნომერი ისევე თავაზიანად მიიღო საჩუქრად, როგორც ჩვენამდე მისმა მეგზურმა შოთიკო პაპავამ შესთავაზა.

ვიმედოვნებთ, მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები, გამგებლის წარმომადგენლობა სოფელ ჩხენიშში გაითავისებენ ქალბატონ ლიას სურვილს და კანონის ფარგლებში თანადგომას აღმოუჩენენ მას.

თბილად დავემშვიდობეთ სათნო ქალბატონს, სასურველ სტუმარს, საინტერესო მოსაუბრეს.

# ისევ მოლოდინი...

**ლევან გაბეჩავა**

***ჩვენი თაობის ახალგაზრდებში ერთგვარ გაოცებას იწვევდა მაშინდელი პედაგოგების ხშირი განცხადება: სახელმწიფოში კარგი ხურო, ზაბაზი, კალატოზი, მეთუნუქე ისევ ისე საჭიროა და დასაფასებელი, როგორც იურისტი, პედაგოგი, ინჟინერი. ამ განცხადებას სხვანაირ ახსნას მაშინ ვერავინ უძებნიდა, გარდა იმისა, რომ ფრაზების გამხმიანებლები ქვეყნის მასშტაბით მრავლად არსებული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის კადრების, უფრო სწორად, მოსწავლეთა კონტინგენტის სიმრავლით იყვნენ დაინტერესებულნი.***

სახელმწიფო კი, სახელმწიფო სერიოზულად ეკიდებოდა პროფესიული კადრებით ქვეყნის სახალხო მეურნეობის დაკომპლექტებას, ამდენად, ნაციონალურ რესპუბლიკებში, როგორც მთელ საბჭოეთში განათლების სისტემას სამი დარგობრივი უწყება ხელმძღვანელობდა:

საქართველოს განათლების სამინისტრო – ექვემდებარებოდა სკოლები, სკოლამდელი დაწესებულებები.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო კოორდინაციას უნივერსიტეტების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მუშაობას უწევდა.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი კი პროფესიული სასწავლებლების გამართულ მუშაობას უზრუნველყოფდა.

სახელდობრ სამტრედიაში ქალაქის 28-ე, კულაშის 92-ე და რკინიგზის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები ფუნქციონირებდა. ასობით ახალგაზრდა ეუფლებოდა მათში მეტად საჭირო პროფესიებს. კვალიფიციური პედაგოგიური კადრები, საწარმოო სწავლების ოსტატები, ყველაფერს აკეთებდნენ ახალგაზრდების პროფესიული დახელოვნებისათვის.

მერე, როცა ქვეყანაში ყველაფერი აირია, გავერანდა სოფლის მეურნეობა, გაჩანაგდა მრეწველობა, ცხადია, აღარავის ჭირდებოდა სპეციალისტები, მაქსიმალისტმა ქართველებმა კი გეზი უნივერსიტეტებისა და უმაღლესი სასწავლებლებისაკენ აიღეს, პროფესიული სასწავლებლების კაბინეტ-ლაბორატორიები კი ნელ-ნელა დაცარიელდა და საჩვენებელ ძროხა "კამელიასავით" ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ, აქა-იქ შემორჩა, როგორც ნაშთი ძველი დიდებისა.



მმართველი ძალის მიერ წინასაარჩევნო დანაპირები როგორც შესრულდა ქვეყნის მაშტაბით 100 ქარხნის აგუგუნების თაობაზე, ცხადია, თუმცა, ხავსმოჭიდებული წყალწაღებულის მხრიდან იმედი მაინც გვაქვს ჯერჯერობით, რომ სიტყვას უკან არ წაიღებენ და დღეს თუ არა ხვალ ნაწილობრივ მაინც გახდება დანაპირები რეალობა. მაშინ კი, მაშინ აუცილებლად იქნება დრო იმისა, საქმე დაგვანახებს სპეციალისტთა აუცილებლობას.

რა პერსპექტივა აქვს სამტრედიის მუნიციპალიტეტში პროფესიული სასწავლებლების აღორძინებას, რა კეთდება ამ მიმართულებით ქვეყანასა და რეგიონებში, შენარჩუნებულია თუ არა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რამდენადაა დღევანდელ საქართველოში აუცილებელი და საჭირო კვალიფიციური კადრების არსებობა... ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ "სამტრედიის მაცნე" ქალბატონ იზოლდა ნადირაძეს დაუკავშირდა, რომელსაც სისტემაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

**იზო ნადირაძე: დაამთავრა სამტრედიის № 1 საშუალო სკოლა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. მუშაობდა კომკავშირის სამტრედიის რაიკომის მეორე მდივნად, კულაშის საფეიქრო-სამკერვალო სასწავლებლის დირექტორად, რეორგანიზაციის შემდეგ კი სამტრედიისა და კულაშის პროფესიული ლიცეუმის დირექტორი იყო.**

**ამჟამად ქალბატონი იზო მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სპეციალისტია, ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.**

– სამტრედიაში წლების მანძილზე ნაყოფიერად მუშაობდნენ პროფესიული ტექნიკური სასწავლებლები, მათ კედლებში აღზრდილებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქვეყნის ძლიერების საქმეში.

2004-2006 წლებში საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით სამტრედიის პროფესიული სასწავლებლის ბაზაზე იგეგმებოდა რეგიონალური მნიშვნელობის პროფესიული სასწავლო ცენტრის დაფუძნება, ყველა კრიტერიუმისა და პერსპექტივის გათვალისწინებით, პედაგოგები ჩართულები იყვნენ ტრენინგებსა და ეროვნულ სემინარებში. 2006 წლის გაზაფხულზე აღდგენითი სამუშაოები უნდა დაწყებულიყო, მაგრამ 2007 წელს სასწავლებელი ოპტიმიზაციის შედეგად მიუერთეს დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯს, 2010 წელს მოახდინეს ყველა სასწავლებლის უპირობო ლიკვიდაცია. სახელმწიფოს მიერ ასეთი მიდგომა აღქმული იქნა უსამართლობად.

მას შემდეგ, უკვე ახალი სასწავლებლის დაფუძნების საქმეში ჩართული არიან საქართველოს პარლამენტის წევრი, სამტრედიის მაჟორიტარი ბატონი გიორგი კახიანი, გამგეობისა და საკრებულოს თავკაცები. ამ ეტაპზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სამტრედიაში ექსპერტთა ჯგუფი გამოგზავნა, ყოფილ სასწავლებლებში არსებული ვითარებისა და მდგრადობის შესამოწმებლად. დასკვნა დადებითია, სამტრედიელები კი მოლოდინის რეჟიმში ვიმყოფებით. – აღნიშნავს ქალბატონი იზო.

კონკრეტულ შეკითხვაზე: რამდენად აუცილებელია ამ ეტაპზე სამტრედიაში (ქვეყანაში) პროფესიული სასწავლებლების არსებობა რესპონდენტი გვპასუხობს:

– ის აბიტურიენტები, რომლებიც ვერ მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, ან ისინი რომელთაც არა აქვთ საშუალება ისწავლონ ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში, სიამოვნებით ჩაირიცხებოდნენ ამ ტიპის სასწავლებლებში. გარდა ამ კატეგორიებისა, იყო შემთხვევები, როცა ადამიანს ჰქონდა უმაღლესი განათლება, მაგრამ სურდა პროფესიის შეცვლა და სწავლობდა ჩვენთან. განსაკუთრებით რთულ ვითარებაში სოციალურად დაუცველები არიან, რადგან ყველა დონეზე საფუძვლიანი განათლების მიღებას თანხები სჭირდება. ასეთი კატეგორიის ადამიანები განწირულები არიან უმუშევრობისათვის, რამეთუ შრომით ბაზარზე ისინი არაკონკურენტუნარიანები არიან. ნებისმიერი დამსაქმებელი ითხოვს მაღალკვალიფიციურ, სერტიფიცირებულ სპეციალისტს და ამაში საკვირველი არაფერია. – გვეუბნება ქალბატონი იზო.

რესპონდენტისაგან ერთი სასიამოვნო ინფორმაციაც შევიტყვეთ – იმერეთის რეგიონში იგეგმება ახალი პროექტის განხორციელება, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ნაწილის დასაქმებას. დასაქმების მსურველთა გადამზადებას სასურველ პროფესიებში, შემდეგში დასაქმების პერსპექტივით. პროექტს ევროკავშირი აფინანსებს.

დღითიდღე მზარდი მოთხოვნილების ფონზე კვალიფიციური კადრების ყოლა რომ აუცილებელი იყო, ეჭვი ნამდვილად არ გვეპარებოდა. ქალბატონი იზოს არგუმენტირებულმა პასუხმა კიდევ უფრო ნათელი მოჰფინა ყოველივეს.

ჯიუტად გვწამს უკეთესი მომავლის, უკეთესი ხვალის იმედით სულდგმულობს ქვეყანა.

შორს არ უნდა იყოს დრო, როცა უმუშევრობა ნელ-ნელა ჩაბარდება ისტორიას და როგორც წამყვან სახელმწიფოებში, ისე საქართველოში შეფ-მზარეულის, დურგლის, მეთუნუქის, აირშემდუღებლის, დიზაინერის, სტილისტის... პროფესია კიდევ მეტად მოთხოვნადი, მეტად ანაზღაურებადი და დაფასებული იქნება. მანამ კი, კვლავ მოლოდინის რეჟიმი...

---

**თეა ბაბუნაშვილი**

***სამტრედიაში წყალგაყვანილობის და კანალიზაციის მოწესრიგება გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო. ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ეს მნიშვნელოვანი საკითხები მაშინდელი ხელისუფლების ძალისხმევით გადაწყდა. სამუშაოები იმდენად მკვიდრად და ხარისხიანად შესრულდა, რომ დღემდე სწორედ მაშინდელ სისტემას ეყრდნობა ორივე მიმართულება. "მომავლის პარკის" გაშენების ისტორიის წაკითხვის შემდეგ, ვფიქრობთ, მკითხველის ყურადღებას მოკლებული ქალაქის კეთილმოწყობის პროცესის ამსახველი არც ეს მეორე თემა იქნება და უკვე მეორედ მეგზურობას სამტრედიის ყოფილი რაიკომის პირველი მდივანი, თამაზ მიქაძე გვიწევს.***

როგორც მისგან გავიგეთ, სამტრედიაში სასმელი წყალი გასული საუკუნის 50-იან წლებში შემოვიდა. ქსელი ხონიდან იქნა შემოყვანილი. საკითხი წყალსადენის მაშინდელი დირექტორის, ლავროსი ჟვანიას ძალისხმევით მოგვარდა. ქალაქის გარდა, სისტემის ერთი განშტოება სოფელ ღანირშიც შედიოდა. სისტემა ქალაქს 40 წელზე მეტი ემსახურა და ბუნებრივია, ექსპლუატაციის ვადა გაუვიდა, თავი იჩინა სხვადასხვა სახისა და მასშტაბის დაზიანებებმა. გარდა ამისა, მოხმარების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა და ქსელი უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა მომხმარებელს.

1986 წელს, ანუ მაშინ, როცა თამაზ მიქაძე ჯერ კიდევ აღმასკომის თავმჯდომარე იყო, ხონის წყალთა მეურნეობის სამშენებლო სამმართველოს უფროსმა მას მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება გააცნო, რომლის თანახმადაც, წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობით, ხონის წყალთა მეურნეობის სამშენებლო სამმართველოს ხონი-სამტრედიის ერთობლივი წყალსადენი უნდა აეშენებია სათავე ნაგებობასთან ერთად. "აღნიშნული მშენებლობა აყვანილ იქნა ჩვენს ყოველდღიურ კონტროლზე და შესაბამისი ყურადღება ეთმობოდა რაიონის მაშინდელი ხელისუფლების მიერ."– ამბობს თამაზ მიქაძე.

## მოსახლეობამ ამ პრობლემაზე თითქმის არაფერი იცის

სამუშაოები დასრულდა და ქსელის შემოწმებამ ცხადჰყო, რომ იგი ხარვეზებით იყო დამონტაჟებული, რის გამოც სრულ შევსებასა და დატვირთვას ვერ გაუძლო. მასში წყალი იყინებოდა. "გამართული მუშაობის შემთხვევაში წყლის წნევა დაახლოებით, 6 ატმოსფერო უნდა ყოფილიყო, რაც 60 მეტრის სიმაღლეზე წყლის მიწოდებას ითვალისწინებდა. სხვაობა გათვალისწინებულია ხონსა და სამტრედიას შორის ზღვის დონეთა სხვაობით, მილის სრული შევსების პირობებში." – იხსენებს იგი. მაშინდელ პირობებში მილების გადაბმა სპეციალური ბაგირითა და ცემენტის ხსნარით ხდებოდა, რაც საკმაოდ მყიფეა. ამგვარი ტექნოლოგია პრობლემას ქმნიდა, მაღალი წნევის შემთხვევაში მილების გადაბმის ადგილები ზიანდებოდა. "თანამედროვე ტექნოლოგიებით კი მილების გადაბმა ტყვიის მეტალის ჩაწნეხვით ხდება. ვინაიდან მშენებლობის მიმღები ჩვენ ვიყავით, საჭირო იყო ქსელის ჩაბარებაზე ჩვენი თანხმობა. ჩვენი მიზანი კი მოსახლეობისთვის წყლის მაღალი წნევით მიწოდება იყო. ამიტომ პრობლემის მოგვარების გზების ძიება დავიწყეთ." – აზუსტებს ბატონი თამაზი. ამისთვის ადგილობრივმა ხელისუფლებამ სამმართველოს ხელმძღვანელობას ელიავას ქუჩაზე არსებული წყლის გადამქაჩი სადგურის მოწყობა და იქ არსებული ავზის რეკონსტრუქცია შესთავაზა. საკუთარ თავზე კი ელექტროტუმბოების შეძენა და ელექტროდაფის მოწყობა აიღეს. ამ სქემით სათავე ნაგებობიდან წყალი დაბალი წნევით, ანუ მილების წყლით შეუვსებლად, გადამქაჩ სადგურამდე მიდიოდა, სადაც სარეზერვო აუზებში გროვდებოდა. იქიდან კი, მაღალი წნევით მიეწოდებოდა მოსახლეობას. პარალელურად, ადგილობრივი ძალებით შიგა ქსელის გაფართოება მიმდინარეობდა.

90-იანი წლების განუკითხაობის დროს ტუმბოები და ელექტროფარები დაიტაცეს და ეს მეურნეობა გაპარტახდა. გაიფანტა მოსამსახურე კადრებიც. "დარჩა სადგურის ცარიელი ტერიტორია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხონის რაიონის ხელმძღვანელობის მეცადინეობით, მათ ახალი სადგური ააშენეს. ძველი სათავე ნაგებობა კი სამტრედიას გადმოეცა.

თამაზ მიქაძე აღნიშნული საკითხის წამოწევის ინიციატივით გამოდის. მისი აზრით, ამ თემით დაინტერესება იმიტომაც არის დროული, რომ "ქალაქში დაწყებულია წყლის მრიცხველების დამონტაჟება. მოსახლეობას, გარდა წყლის ტარიფისა, პირადი ელექტროტუმბოების მიერ დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდაც მოუწევს. გასაგებია, რომ ამ საკითხს დამოუკიდებლად ვერც წყლის კომპანია და ვერც ადგილობრივი ხელმძღვანელობა ვერ გადაწყვეტს. ამიტომ, მისი დაყენება ზემდგომ კომპეტენტურ ორგანოებში დროულად უნდა მოხდეს."

. "სამწუხაროდ, მოსახლეობამ ამ პრობლემაზე თითქმის არაფერი იცის." – ამ სიტყვებით თამაზ მიქაძე ქალაქში კანალიზაციის პრობლემაზეც ამახვილებს ყურადღებას. "ქალაქის დიდი ნაწილი კანალიზაციის გარეშეა დარჩენილი." – ამბობს იგი. იხსენებს, რომ ქალაქში კანალიზაციის სისტემის მშენებლობას საფუძველი მისი 100 წლის იუბილის აღნიშვნასთან ერთად ჩაეყარა მაშინდელი რაიკომის პირველი მდივნის, ნოდარ კოხრეიძის და აღმასკომის თავმჯდომარის, ამირან მანჯგალაძის ინიციატივით. ისევე როგორც წყლის შემთხვევაში, თავიდან ეს პროექტი ხონისა და სამტრედიის ერთობლივი ქსელის მშენებლობას ითვალისწინებდა. მისი ჩადინება ცხენისწყლისა და რიონის შესართავთან უნდა მომხდარიყო გამწმენდი ნაგებობის გაშვების შემდეგ. სამტრედიაში მისი ფუნქციონირება სამი გადამქაჩი სადგურის, ცხრასართულიანი სახლის, გამარჯვების ქუჩასა და ნაჩხატაურში, ყოფილი აგურის ქარხნის მიმდებარედ არსებული სადგურების მეშვეობით მოხდებოდა. მშენებლობა ეტაპობრივად უნდა წარმართულიყო. იგი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კონტროლზე იყო აყვანილი. ქსელის მშენებლობისას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა ხონისკენ მიმავალ ტრასას. ამიტომ იგი კულაშამდეა გაშენებული. 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების გამო სამუშაოები შეწყდა. "ამჟამად სურათი ასეთია: სამი გადამქაჩი სადგურიდან მხოლოდ ერთი მუშაობს და საკმარისია იგი მწყობრიდან გამოვიდეს, რომ კანალიზაცია, ფაქტობრივად, მწყობრიდან გამოვა. ამას ემატება მასში დალექილი ჩამდინარე წყლები. იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქის დატბორვა არც თუ იშვიათი მოვლენაა, იგი კოლექტორის ფუნქციასაც ასრულებს. თავი მხოლოდ იმით შეგვიძლია ვინუგეშოთ, რომ ორ ქალაქზე გათვალისწინებული სისტემა ორმაგ დატვირთვას გაუძლებს, მით უმეტეს, რომ ხონიდან ჩამდინარე მასა ჩვენს სისტემაში არ ხვდება." – ამბობს თამაზ მიქაძე და იქვე დასძენს, რომ სისტემის ბოლო მონაკვეთი გამწმენდ ნაგებობამდე საერთოდ არ ფუნქციონირებს და მთელი მასა მდინარე ლოღობას ერთ-ერთ განშტოებაში ჩაედინება. წყლისა არ იყოს, ესეც ის თემაა, ადგილობრივი ხელისუფლება და შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელები დამოუკიდებლად რომ ვერ გადაწყვეტენ, თუმცა საკითხი დაფიქრებად ღირს და მისი სასწრაფოდ მოგვარების გზების ძიების გადადება შეუძლებელიც კი არის.

# აქ სულ საყვირის ხმა ისმის!

შოთა პაპავა

***გვითხრა ოჯახის დიასახლისმა, ისტორიკოსმა მარინა მეიშვილმა და რესპონდენტის სამუშაო ოთახამდე მიგვაცილა. ნოტებით აჭრელებული ფურცლებით სავსე მაგიდასთან დემურ სულაბერიძე გველოდება. დღეს იგი შემსრულებლის ამპლუაში ვერ გვმასპინძლობს, მაგრამ მისი საუბარი, განვლილი გზის მოგონება, ცხოვრების მელოდიაა, ჩვენ კი მისი მსმენელები გახლავართ.***

''ფილმ ''მე, ბებია, ილიკო და ილარიონში'', ერთი ეპიზოდია, ზურიკელა ''ტრუბაჩის'' როლში, თანასოფლელი ბიჭი მის წინ, სანოტო პარტიით. ასეთი იყო ჩემი ბავშვობა. მამაჩემს, სამტრედიაში ცნობილ მუსიკოსს, სასულე ორკესტრის ხელმძღვანელს, დავალება ჰქონდა, რომ სხვადასხვა სარაიონო მასშტაბის ღონისძიებაზე გამოეყვანა შემსრულებლები და სათანადოდ წარმდგარიყვნენ. მე ფრიად საპასუხისმგებლო დანიშნულება მქონდა, ვმდგარიყავი მესაყვირის პირდაპირ, ნოტებით ხელში. მიუხედავად იმისა, რომ წარმატებულად შესრულებული მისია, თვეების მანძილზე თავმოწონების საბაბად მექცია, ვოცნებობდი ერთზე, წლების შემდეგ დამეკრა და უკვე ჩემს წინ მეყურებინა ხელში რვეულმომარჯვებული მოსწავლისათვის.'' _ აღნიშნა ბატონმა დემურმა.

საწადელი აიხდინა: _ ''მე-13 საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. ერთ დღესაც შევიტყვე, რომ იქმნებოდა ორკესტრი და დაუფიქრებლად ჩავეწერე წევრობის მსურველთა რიგებში, ოღონდ მშობლების, რაც მთავარია, მამის უნებართვოდ. გადიოდა დრო, მეცადინეობის შედეგს ნელ-ნელა თავადაც ვგრძნობდი. ერთხელ სახლშიც დავუკარი, რა დამავიწყებს ჩემიანების რეაქციას. დღემდე ვერ ამოვიკითხე, იმ მომენტში მამაჩემის სახეზე სიხარული დავინახე თუ გაბრაზება. ვფიქრობ, ცოტა ეწყინა, ალბათ, ამ საქმეში გამოცდილს, სხვა მიმართულებით უნდოდა წავსულიყავი.''

ხშირია შემთხვევა, შვილი მშობლების პროფესიას ირჩევს, თუმცა დაგვეთანხმებით, რომ მსახიობი, მუსიკოსი, ზოგადად ხელოვანი ადამიანი, არასდროს გამოთქვამს სურვილს, მისი შთამომავალი გაჰყვეს წინაპრის საქმეს. რამდენადაც დიდია ხალხის აღიარებით მოგვრილი სიხარულის განცდა, იმდენად მწარე, ძნელადსავალია გზა წარმატებათა მისაღწევად.

''მეექვსე კლასში ვიყავი, როცა კომპოზიტორი ბორის ბოხუა დასავლეთ საქართველოში სასკოლო ორკესტრებს ათვალიერებდა და რჩეულთ დედაქალაქში ეპატიჟებოდა. _ გვიყვება იგი. _ განგების წყალობით, უმალ მოვექეცი მისი თვალთახედვის არეში. თბილისის მუსიკალურ ათწლედში სწავლის გაგრძელებაზე, რაც მოღვაწეობის თვალსაზრისით ფართო ასპარეზს გულისხმობდა, სიხარულით დავთანხმდი. მოგვიანებით, ექსპერიმენტულ სამუსიკო სკოლაში გადავედი და 11 კლასის დასრულების შემდეგ ამავე სასწავლებლის პირველი თაობის კურსდამთავრებული გავხდი. შემდეგ იყო სამხედრო სამსახური. იქაც მალე ვიპოვე მუსიკალური ატმოსფერო; თბილისის სახელმწიფო ცირკის ორკესტრშიც ვუკრავდი, ეს იყო შემოქმედად ჩამოყალიბების პერიოდი, დაუღალავად ვმუშაობდი ''ხვალინდელი დღისათვის.''

ხვალინდელი დღეც დადგა. კონსტანტინე პევზნერმა ''რეროს'' აღდგენისთვის დაიწყო მუშაობა, დღითიდღე იმატებდა პროფესიონალ შემსრულებელთა რიცხვი, მათ შორის დემურ სულაბერიძეც გამოჩნდა.

''დიდხანს ვემზადებოდით ფეხზე დასადგომად. კონსტანტინე პევზნერი გახლდათ საოცრად დახვეწილი გემოვნების, საკუთარი თავისა და სხვებისადმი უზომოდ მომთხოვნი ხელოვანი. მან იმდენი მოახერხა, რომ მუშაობიდან ერთი წლის თავზე შედეგით ყველა გააოცა. მეამაყება, ორკესტრ ''რეროსთან'' ერთად ჩატარებული რვაასამდე კონცერტი, სცენაზე დგომა განუმეორებელ მესაყვირესთან, კარლენ სარქისიანთან და მომღერალ ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძესთან ერთად.'' _ იგონებს ჩვენი რესპონდენტი.



მარჯვნიდან: გია მელაძე, კარლენ სარქისიანი, დემურ სულაბერიძე, კონსტანტინე პევზნერი



სამტრედიის თეატრის სასულე ორკესტრი ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში, 1980 წ.

1986 წლიდან დემურ სულაბერიძე სამტრედიას უბრუნდება. მშობლიურ ქალაქში იგი ადგილობრივი თეატრის სასულე ორკესტრის ხელმძღვანელი ხდება.

''სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის სახლის სასულე ორკესტრი, ბოლო დროს, ახალგაზრდა, პროფესიონალი მუსიკოსებით შეივსო. ორკესტრს სათავეში ჩაუდგა უმაღლესი მუსიკალური განათლების მქონე დირიჟორი დემურ სულაბერიძე. ''გაახალგაზრდავებამ'' დადებითი გავლენა მოახდინა ორკესტრზე, გაფართოვდა რეპერტუარი, ამაღლდა საშემსრულებლო დონე.

29 მაისს სამტრედიელი მუსიკოსები მიწვეულნი იყვნენ თბილისში, სასულე ორკესტრების რესპუბლიკურ საზეიმო კონცერტში მონაწილეობის მისაღებად. მათი გამოსვლა სათანადოდ შეაფასეს მსმენელებმა და სპეციალისტებმა. ამის დასტურია ''მადლობის ფურცელი'', რომელიც ორკესტრმა დედაქალაქიდან ჩამოიტანა. კვლავაც ახალი წარმატებები ვუსურვოთ სამტრედიელ მუსიკოსებს.'' _ ვკითხულობთ 1988 წლის გაზეთ ''წინსვლაში''.

''სიმართლე გითხრათ, მატერიალურად გვიჭირდა. არის მომენტი, როცა დროულად გამოწვდილი დახმარების ხელი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ასეთები ჩვენს ყოფაში მრავლად იყო; ის, რასაც ამჯერად მოგითხრობთ, სწორედ ერთ-ერთი მათგანია. თეატრში მორიგი რეპეტიცია მიმდინარეობს, თებერვლის სუსხში ორკესტრის მოსმენა სამტრედიის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, ბატონმა ბორის ფოცხვერაშვილმა მოისურვა. ნება მისი იყო და რამდენიმე ნაწარმოები იქვე შევასრულეთ. გონებიდან არ ამომდის აღფრთოვანებულის რეაქცია. _ გასტროლებისას, სამტრედიის სახე ხართ. დღესვე, ახლავე მიბრძანდით ამა და ამ ადგილას, სამკერვალო ატელიეში, თქვენ საკონცერტო კოსტიუმებს შეგიკერავენ! _ როგორ შემიძლია, ბატონი ბორისის ეს სიტყვები არ მახსოვდეს?!

თამაზ დუნდუა ჩემი დიდი ტკივილია. რთული იყო მის არყოფნასთან შეგუება, უფრო რთული კი მისი დაწყებული საქმის გაგრძელება, რაც ანა აბზიანიძესთან ერთად მომიწია. ანსამბლი ''იმედი'' _ დროსგასწრებული რიტმი ცხოვრებისა, ცივილიზაციისა, ბავშვთა ფანტაზიისა და შესაძლებლობებისა.



დემურ სულაბერიძე ორკესტრთან ერთად | სამტრედია, 1990 წელი

ორკესტრ "რეროს" მესაყვირეები, მარჯვნიდან მეორე დემურ სულაბერიძე



გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ფოთში, მუსიკალური ტექნიკუმის ჩასაბერ საკრავთა განყოფილების ხელმძღვანელად მიმიწვიეს, რასაც მოჰყვა ფოთის სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის სასულე ორკესტრის დირიჟორობა. ურთულესმა განრიგმა ერთხანს დამაფრთხო, ჩემი არანჟირებების დიდი ნაწილი მატარებელშია დაწერილი, სადგურიდან სადგურამდე ფიქრი და გაჩერებაზე ნაზრევის ფურცელზე გადატანა.'' _ გვიამბობს ის.

2008 წლიდან დემურ სულაბერიძე სამტრედიის მეორე სამუსიკო სკოლის პედაგოგია. საოჯახო ტრადიცია მან ღირსეულად გააგრძელა, მესაყვირე გახდა. ახლა კი შვილში, 12 წლის ამირან სულაბერიძეში ხედავს გენების გამოძახილს. სიგელების, დიპლომების, ფასიანი საჩუქრების სიმრავლე ამირანის პერსპექტიულ მუსიკოსობას მოწმობს. ხელოვნების აკადემიის გენერალური დირექტორის, ვალერიან შიუკაშვილის ხელმოწერით დამშვენებულ დიპლომს დიდი ასოებით აწერია _ ''საპატიო''. ვიმედოვნებთ, ''ის ურჩევნია მამულსას'' პრინციპით დაწყებული, ''მამის მჯობნი შვილობით'' დასრულდება.

პროფესიონალი მესაყვირე გვანდობს: ''დღეს ბევრი იწონებს თავს ყავლგასული ფრაზებით. შევნატრი დროს, როცა სამტრედიას სახელმწიფო თეატრი და სასულე ორკესტრი ექნება, ეს ჩემი სურვილია!''

# რთღის არ კვდებიან ადამიანები

ლევან გაბეჩავა

***სამსახურში ძალზე ადრე მომიწია მოსვლა და...***

***აიშალნენ ფიქრები, აქეთური, იქეთური. უფროსი კოლეგები მომაგონდა უნებლიედ, ისინი, ათეული წლები რომ ემსახურებოდნენ საყვარელ საქმეს და დამაშვრალები განერიდნენ სამზეოს.***

პირველი ჩემი სამსახური, დიდი ჯიხაიშის ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის საჯარო სკოლა და იქ მოღვაწე უფროსი თაობა...

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისია. წვიმს, სამტრედიიდან გეზი დიდი ჯიხაიშისაკენ, ყაზბეგისაკენ ავიღე. დიდ ჯიხაიშში, ავტობუსში სოფლის მკვიდრი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, ომისა და შრომის ვეტერანი, ბატონი ევგენი ჯიქიძე ამოვიდა, 3 კილომეტრი იყო მისი სახლიდან სკოლამდე. ბოლო გაჩერება, ავტობუსიდან ჩამოვედით, ისევ 300-ოდე მეტრი სკოლაში მისვლამდე, ჯერ სასაფლაოსთვის უნდა ჩაგვევლო გვერდი, ბატონმა ევგენიმ უეცრად, ჩემდა გასაოცრად, ქუდი მოიხადა, სასაფლაოსთან შეჩერდა და გზა ქუდმოხდილმა განაგრძო. სხვადასხვა დროს, ისევ ქარში, თოვლში, წვიმაში ანალოგიური გამეორდა, ვკითხე მიზეზი ასეთი საქციელის და პასუხმაც არ დააყოვნა, შვილო აქ, ამ საფლავებში ისეთი ღვაწლმოსილი ადამიანები განისვენებენ ქუდით მათ აჩრდილებს გვერდს ვერ ჩავუვლიო. რაკიღა ქუდს მაშინ არც ზამთარში, არც ზაფხულში არ ვატარებდი, გინდა არ გინდა, წამით მაინც შევჩერდებოდი სასაფლაოსთან, ისე, როგორც ჩემი უფროსი კოლეგა. თავს არ მოვიწონებ, ეს ტრადიცია სკოლის ყველა ახალგაზრდა პედაგოგმა გავისიგრძეგანეთ.

საერთოდ არნახული სითბო, წარსულთა ხსოვნისადმი საოცარი პატივისცემა იცოდნენ სკოლაში. ისე ხშირად საუბრობდნენ ჩემთვის უცნობ გიორგი, გალაკტიონ ხარაბაძეებზე, შუშანა კაჭახიძეზე, მარიამ ნასარეიაზე, ივანე ლეჟავაზე, პაშა ხაჟალიაზე, უფროსი თაობის პედაგოგებზე, ახალგაზრდა პედაგოგებს თითოეული ჩვენს თანამედროვედ მიგვაჩნდა.

დღეს იქნებ ბევრს გაეღიმოს, მაგრამ ისიც მახსოვს, სკოლაში ექსკურსია რომ გადაიდო ყოფილი პედაგოგის გარდაცვალების გამო.

აი, ამ დროს არ კვდებიან ადამიანები.

_ ენციკლოპედიური განათლების კაცი გახლდათ აკაკი კოხრეიძე, ყველა საკითხზე არგუმენტირებული პასუხი ჰქონდა, კალამიც უჭრიდა და სიტყვაც მარილიანი იცოდა. ფუტკარივით მოუსვენარი იყო გრიგოლ სიხარულიძე, არ გვახსოვს სამსახურში დაეგვიანებიოს. მარო და თამარა, რედაქციის ბუღალტერი და კორექტორი ხომ პატიოსნების განსახიერება იყვნენ. ხშირად ''უმიზეზოდ'' დაიწყებდა მის წინამორბედებზე საუბარს ჩემი თაობისათვის წინა თაობის ჟურნალისტი, ბატონი ანზორ გრიგოლია და თითქოს არაპირდაპირ მათი ხსოვნისადმი პატივისცემისაკენ გვაგულიანებდა ახალგაზრდა კოლეგებს.

ბატონებზე, ჟორჟი ჯანჯღავასა და ვაჟა ნიკოლეიშვილზე საუბარი ხშირად უყვარდა ბატონ ოთარ ნაფეტვარიძეს. ამ საუბარსაც იგივე მიზანი ჰქონდა, ამ საუბრებმაც იგივე მისია შეასრულეს. დღეს რედაქციაში ერთმანეთს უფრო ადვილად გავუჯავრდებით ხოლმე, მაგრამ წინა თაობებზე აუგს არავინ არავის პატიობს, პირიქით, ჩვენც ''უმიზეზოდ'' ხშირად დავიწყებთ მათზე საუბარს, ვიგონებთ ერთად გატარებულ წუთებს, მათ საყვარელ ფრაზებს და სინანული გვიპყრობს.

ასეთ დროს არ კვდებიან ადამიანები!

დრო გავიდა, ნიჭიერი თაობა გამოვიდა ასპარეზზე. ''სამტრედიის მაცნეს'' მხატვარ-კარიკატურისტზე, შოთიკო პაპავასა და მის ნიჭიერებაზე არაერთხელ დაწერილა, მომავალშიც მრავალჯერ დაიწერება. იკითხავს უთუოდ მკითხველი, აქ შოთიკო რა შუაშიაო.

უქმეებზე, როგორც ყოველდღე ისე, შოთიკო ტელეფონით შემეხმიანა. ვერ ვიხსენებ, რომელი, მაგრამ ერთ-ერთი რელიგიური დღე იყო: ბატონო ლევან, ტაძარში ვიყავი, ახლობლების საფლავებზე სანთლები რომ ავანთე, პანთეონში შევედი, ბატონ ანზორ გრიგოლიას საფლავზეც დავანთე სანთელიო, მითხრა შოთიკომ და...

ჟრუანტელმა დამიარა, უმცროსი კოლეგის საქციელი ხომ მომეწონა და მომეწონა (გაკვირვებით ნამდვილად არ გამკვირვებია), მაგრამ უზომო სიხარული ვიგრძენი, რომ ტრადიცია არ ირღვევა, ხსოვნის ჯაჭვი არ წყდება...

ისე ხშირად, ისე სითბოთი საუბრობთ რედაქციაში ბატონ ანზორზე, მის საფლავს უყურადღებოდ ვერ ჩავუარეო, _ დასძინა შოთიკომ, რომელსაც თვალითაც არასოდეს უნახავს ბატონი ანზორი.



აი, ასეთ დროს არ კვდებიან ადამიანები!

ერთობ უცნაურ სათაურს, არ ვიცი, რამდენად ვუპასუხე, მაგრამ სათქმელს რომ მკითხველი მიხვდება, ეჭვი არ მეპარება.

კაცურად ვიცხოვროთ, ვიყოთ ადამიანები და აღარასოდეს მოვკვდებით, გარდაცვალებით კი გარდავიცვლებით უეჭველად.

# ჩვენი მეგობარი პოეტი

## ნოდარ ადეიშვილი 80 წლის გახდებოდა...

**ლევან გაბეჩავა**



***პირველი ლექსის გამოქვეყნებიდან გარდაცვალებამდე მეგობრობდა მშობლიური რაიონის გაზეთთან, მის შემოქმედებით ჯგუფთან.***

***რედაქციას მეორე მწერალთა კავშირს ეძახდა.***

***იმდენად უბრალო და კონტაქტური იყო, ზღვარს მალე წაშლიდა ნებისმიერი ასაკის ადამიანთან და გულს სამეგობროდ გადაუშლიდა, იუმორიც უყვარდა, ჯანსაღი იუმორი.***

***სიყვარულს, მეგობრობას, მშობლიური მხარის ლამაზ სანახებს, ჩვენი ერის გმირულ ისტორიას, სიცოცხლეს, ყვავილებს, ჩიტებს უმღეროდა ჩიტისგულა, თმებდათოვლილი პოეტი ციცქნა ლექსებით.***

***ოცზე მეტი კრებულის ავტორი გახლდათ ნოდარ ადეიშვილი.***

***მასზე მისივე ლექსები გაცილებით მეტს გვეტყვიან.***

### წინაპართა ხმები

მაცალეთ, ხატი გავჭედო,
ხმალი გავჭედო, ვიქროლო,
მოვიმცხეთ-მოვიქაშვეთო,
მოვიქართლ-მოვიდიდგორო...
ყანა _ როდემდის მეჩხერი,
ცხენი _ როდემდის უნალო...
მერე თქვენ თქვენთვის,
მე _ ჩემთვის
უხმლო, უხინჯო უფალო.

### შენი ცაცხვი და მთვარე

თითქოს არც ისე შორსა ხართ,
მაგრამ არც ისე ახლოს,
მოვისურვილო დანახვა
და სურვილ-სურვილ ვნახო.
შენი ნიში და ხატები,
შენი ცაცხვი და მთვარე...
ხანდახან მომენატრები,
გადავეხვევი ქარებს.

### რამდენი რამ...

აქ რომ გუშინ წისქვილი და
ეკლესია ენთო,
სად წავიდა...
რამდენი რამ გვაპატიე, ღმერთო!
აშლის ზოგჯერ, აშლის სევდა,
საყდარ-საყდარ ზარებს,
მაგრამ ვინღა გამოჭედავს
ან ამ მზეს და მთვარეს.
მხოლოდ ერთი ეკლის ხეა,
ძველ ადგილს რომ არ თმობს,
ათოვს ჯვარცმის ეკლესიას
და საფლავებს ათოვს.
სადღა არის ის სინათლე,
აქ რომ რწმენას ენთო...
რამდენი რამ,
რამდენი რამ
გვაპატიე ღმერთო!

### ხომ არის...

რაკი უფალმა ასე ინება,
რაკი ამ ქვეყნად სხვა გზა არ არის,
ერქვას ამ წასვლას გასეირნება,
რაც უნდა მწარე იყოს სავალი,
ხომ არის ჩემი წილი სამარე
და სადმე
ნერგი იასამანის.

***სამტრედიაში, მაცხოვრის სასაფლაოზე, პანთეონშია საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, აკაკი წერეთლის სახელობის ლიტერატურული პრემიის ლაურეატის, პოეტ ნოდარ ადეიშვილის წილი სამარე, მასთან ერთად განისვენებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული ბრძოლების მონაწილე მისი ვაჟიშვილიც. ყვავილები არ ჭკნება მათ საფლავებზე.***

***ამ დღეებში 80 წლისა გახდებოდა ნოდარ ადეიშვილი.***

---

### ალქიმიკოსი

*"პიჯაკის ყიდვისას ჯიბეებს შეხედე, დიდი უნდა იყოს!"*

*რომანივით საკითხავი*

მოგესალმებით "კარცერ ლუქსიდან" _ წიგნებმისჯილი!
ახლა, მე, ყველა უღიმღამოდ მკითხველის ხმა ვარ!
აქ ზოგს გვერდები, ზოგსაც ყდა აქვს ჩამოგლეჯილი,
მე კი სამაღლოდ შეკედლებულ ობოლ ბავშვს ვგავარ!
გარესამყაროს მოწყვეტილი, სივრცის მსურველი,
გამწესებული, უხელფასო, წიგნის დარაჯად!
თითქოს ვაშავებ ან სენი მჭირს განუკურნელი,
თითქოს მაქციეს მოთხრობად და იგავ-არაკად!
ამ ოთხ კედელში გაგიჟდება უთუოდ კაცი
და ამიტომაც ვფიქრობ: "თუნდაც ზღაპარი ვსინჯო".
ზედამხედველი სულ არა მყავს ისეთი მკაცრი,
უსაქმოდ ყოფნას, წიგნის კითხვა ათასჯერ მიჯობს!
აი, დავიწყე, გადმოვიღე თაროდან ერთი...
როგორ მეცნობა? დედაჩემის ექოდ ჩამესმა!
აჰ, გამახსენდა! სიზმრებისკენ მქონდა ბილეთი,
ძილისწინ დედა მიკითხავდა ან უფროსი ძმა.
ახლა ვერ ვიწყენ, არარა ვარ აქ მარტოდმარტო,
ხან ქორწილია, ხან ომია და ხან მშვიდობა.
სად არ მივდივარ, ბედისწერამ რა აღარ მანდო,
თურმე მოყვასი, მხოლოდ ჭირში გამოიცდება!
აბა, იცით, აქ რა ამბები ტრიალებს ხოლმე?!
რომანტიკის და ინტრიგების მთელი დასტაა!
განზომილება, სადაც ძალით მივყავართ მშობლებს,
ჩვენი ოცნება, შთაგონება, ჩვენი აღქმაა!
გაგიკვირდებათ, გავახლდი და გამოვიცვალე,
მრცხვენია, ერთ დროს საკუთარი უწიგნურობის!
თავისუფლების შეგრძნებისთვის ვერ მოვიცალე,
ვერ ვისარგებლე, განუწყვეტლივ კითხვის უფლებით!
ვერ წარმოიდგენთ, როგორ ძლიერ მიყვარდა დუელი,
ან რა სისწრაფით ვეჩვეოდი ლონდონის ქუჩებს!
მოულოდნელად ამიჩქარდა რამდენჯერ პულსი,
შერიგებისას და კოცნისას ვილოკდი ტუჩებს!
თქვენ რომ იცოდეთ, მიპოვია რამდენჯერ განძი,
რამდენჯერ შტორმში მოვყოლილვარ უცხო გემბანზე...
ოდესღაც მართლა მეგონა, რომ უბრალოდ "ბანძი",
გრძნობაა, რადგან შეგიძლია ნახო ეკრანზე!
არა! მე თავად დავანგრიე ქალაქი ტროა!
ეს მე მინდოდა ახალგაზრდად ყოფნა მარადის!
როდესაც მითხრეს: "კარცერიდან გამოსვლის დროა",
სურვილი მქონდა წაკითხულზე მძაფრი კამათის!
ალქიმიკოსი _ მოგზაური და წიგნის ჭია.
ადამიანი _ ორ სხვადასხვა სამყაროს იტევს!
მიბრძანდით, თქვენთვის "ლუქსი" დავტოვე ღია
და მისალოცი... არსებობა მისი აზრს იძენს!

### ნატყვიარი მკერდში

მოლოდინები და იმედები
სხედან გამაგრებულ სანგრებში,
მათზე თავდასხმას თუ მიეჩვევი,
სილას გაგაწნიან სახეში!
ტყვიებს სარკესავით ირეკლავენ,
მტვერში ქანდაკებას ძერწავენ,
თვალწინ სიმშვიდეებს გითესავენ,
ზურგიდან მოდიან და ვერ გკლავენ!
ასე გტოვებენ და გიყურებენ,
სანამ თვითონ ჩაიფერფლები!
მერე, არსაიდან მოფრინავენ
ნისკარტშევერცხლილი მერცხლები...
და შენც არსაითკენ ელოდები,
მეხუთე მხარედან ჰორიზონტის!
ძველსახელშერქმეულ მეთოდებით
და ერთი ხაზით, ორი ფრონტის!

***

მხრებზე ხელები დამაწყე და ამოისუნთქე,
სხვების ჯინაზე მოიშალე მატყუარობა,
ნაწნავებიდან წვიმა ფრთხილად ჩამოიწურე,
რომ მეც გაგანდო საკუთარი უსახლკარობა!

### ხმაური დუმილში

მაწყვიტე ნერვებზე ღერები,
ჩამფერფლე დანაცრულ ჯამში!
მე შენთან კვლავ მოვესვენები
და ლერწმებს ჩაგირგავ ტანში!
დაწრიტე, დააშრე წვეთები,
გატენე ყურები ბამბით,
გაცვითე, გასრისე მტევნები,
მომხიბლე, მაცდუნე შარმით!
აღელდი, აზვირთდი, აზვავდი,
დააკვდი თითებით მაჯებს!
არ გძენდი, არ გცვლიდი, არ მყავდი
და ტყუილად გეძახი ამდენს!

### შეხვედრა

რაღაც არის და...
(უხერხული თითქოს, მომენტი.)
არდაგეგმილ და ვერ მოხდენილ
შეხვედრის გამო...
გადარებ ჩემი სულის ნაწილს,
ოღონდ მოგლეჯილს
და შენს სიყვარულს, ჯვარცმულივით
ყოველდღე ვნანობ.
რადგან მე და შენ _
დედამიწის ორი პოლუსი,
ვერაფრით რომ ვერ გადავაწყდით
ტრფობის ეკვატორს და თუმცა
ვიცი, ამისთვის ვარ ქვეყნად მოსული,
მე და შენ ერთნი ვერ გავხდებით მაინც
ვერასდროს!
დაიმახსოვრე, რომ ეს არის ყველაზე მეტი,
მათ შორის, რაც მე შენთვის ოდესმე მითქვამს:
(უსაზღვროდ!!!)
_ მაინც შენ მიყვარხარ, მიყვარხარ-მეთქი!
ვწერ გამხელილს და მეშინია, რომ
სხვაც შენიშნავს!

### პორტრეტი

შენ ჩემი მელნის ფერი დაგეტყო
და მახსოვს ვკეცავდი ქაღალდებს...
შენ ჩემი გულწრფელობა არ გეყო,
მე ჩემი ერთგულება მადარდებს!
შენ _ ჩემი ქრონიკული ანთება,
ვერ ვიგებ, სად ხარ და სად არა!
აქ, ჩემი სუიციდი მზადდება
და მაინც, ან ვიზამ, ან არა!
შენა ხარ ჩემი წილი სამოთხე
და რადგან მძიმეა სასხლეტი...
აორეს, ასამეს, აოთხეს...
შექსპირი _ ოტელო, ჰამლეტი.
ისინი კლავდნენ და კვდებოდნენ,
რადგან მათ, სწამდათ და სჯეროდათ!
ისინი სცდიდნენ და ცდებოდნენ,
ამისთვის, ჯეროვნად ხვდებოდათ!
ნაწერებს ჯიბეში ვიწყობდი
და თუმცა, არსად არ მიმქონდა...
მაშინ ხომ, სულ ახლოს გიცნობდი,
ან იმ ბიჭს ეგონა, გიცნობდა!
გამძაფრდა წყვდიადის თარეში,
აქ სადღაც პოეტის ლანდია,
ეს დარტყმა, აკრძალულ არეში,
დღითიდღე მატულობს, მზარდია!
რატომღაც, აღარ ვარ სულსწრაფი
და როგორც მარტოსულ მგალობელს,
მინდოდა კედელზე სურათი,
სახე რომ მიუგავს... ახლობელს!

### დაგვიანებული ყვავილები

მე ვიცი წვიმაში უაზროდ სირბილი,
ვიცი კათხა ცივი ლუდის გემო,
ვიცი წამებში განცდილი სიკვდილი,
ზე... (ანუ მზეზე უფრო ზემო)!
ვიცი ჰაერი, შიგნიდან გარეთ,
ვიცი პირჯვარი, მარჯვნიდან მარცხნივ,
ვიცი სამშობლო, ცა-ფირუზ-ხმელეთ...
ვიცი სიცოცხლე და ვარქმევ მარტივს!
ვიცი ღიმილი, სიცილის მსგავსი,
ვიცი ცოდვა და მანკიერება!
ზეპირად ვიცი ეგ თქვენი ფარსი,
ხშირად და ძვირად მადლიერება!
თქვენ სხეულისთვის გაყიდით სულებს,
სისხლიან ხელებს შემომხვევთ ტანზე
და დააჯერებთ ბრბოს, ყველა სულელს,
რომ უმოწყალოდ გამაგდონ განზე!
თქვენ მარიგებთ, რომ მე შევიცვალო,
რომ თქვენისთანა მოვირგო როლი!
თქვენ მარიგებთ, რომ თქვენგან ვისწავლო
(აქ გადავუშვი ფილტვებში ბოლი)...
მე ვიცი თქვენი ამპარტავნება,
ვიცი, რომ გინდათ თქვენს თავზე მაღლა,
და თქვენ გჭირდებათ ცილისწამება,
ჩემისთანების დაცემა, დაღლა!..
ვიცი, რომ ბნელი, სიმართლის სხივით,
ბოლოს და ბოლოს გაიბრჭყვიალებს
და მე მივცურავ ნაპირზე ტივით,
სადაც არავინ არ იგვიანებს!

***მამუკა ბიბილეიშვილი***

### რომ აღმოსავლეთის ენდოს ფრინველი

ლაღად მიფრინავს ფრინველი ცაზე,
გეზი აიღო აღმოსავლეთით,
სად იკარგება მისი სინაზე?
რად ემუქრება სურვილს აღკვეთით?
აჰ, ბედისწერას ნუთუ ვემდურით,
რაც სიხარულთან გვაშორიშორებს,
ხედავ? სიცოცხლე მწარდება ხუნდით,
ხედავ? სიკვდილი წარსულს იშორებს.
როგორ? თვალებით გეძებდი განა,
განა სურვილი იყო პირველი,
განცდა გულისა მხნედ ამეტანა,
რომ აღმოსავლეთს ენდოს ფრინველი.

***დავით ჩირგაძე***

## საბავშვო ლექსები

### დილა

რა კარგი დილა გათენდა,
ელვარებს სკოლის კარები,
ხელში წიგნები მიჭირავს,
იქითკენ მივეჩქარები.
მივალ და მიმიხარია,
გზას აფენია ვარდები.
ვიცი, რომ კარგი სწავლითა
ქვეყანას გამოვადგები.

### ზღვაზე

ამ ზაფხულში, წელს პირველად,
წამიყვანა ზღვაზე დედამ.
ზღვა ყოფილა ისე დიდი,
ხუმრობას ვერ გაუბედავ.
იქ იმდენი ვიბანავე,
დავისვენე ისე კარგად,
დედიკონას ვეხვეწები,
წამიყვანოს გაისადაც.

### ჩვენო მასწავლებელო

რახანია გვნატრობდა
ოთახები კრიალა.
აი, უკვე მოვედით,
ზარმა გაიწკრიალა.
სიხარულით ავავსეთ
დერეფნები ნათელი,
გადავშალეთ წიგნები
გავთქვით გულის ნადები:
ჩვენო მასწავლებელო,
გეხვევით და გპირდებით:
ისე კარგად ვისწავლით,
სასახელო ვიქნებით.

### თამუნას ჩივილი

პაწაწინა გოგო ვარ,
გულით ისე დიდი ვარ,
შინ ვერაფრით გავჩერდი
და სკოლაში მივდივარ.
დედამ კაბა შემიკერა
წითელ წინწკლებიანა,
მეშინია, არ წამიღოს
ქარმა წიგნებიანად.

***ვალერიან თევზაძე***

## ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავისადმი

### იქნებ, ბიჭო, პაპა იყო შენი...

9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლის იუბილე იზეიმა ხალხმა, პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას, მადლობა უთხრეს აქა-იქ შემორჩენილ ნაომარ ვაჟკაცებს _ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს.

საქართველოში, სამტრედიაში მრავლად არიან ისეთები, თავიანთი წინაპრების, _ წითელარმიელთა საფლავები, დაღუპვის ადგილი, თარიღი რომ არ იციან.

ამას წინათ გაზეთ ''ქართულ სიტყვაში'', რომლის მთავარი რედაქტორი ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანი გახლავთ, გამოქვეყნდა 1939-1940 წლებში ფინეთის ომში დაღუპულ ქართველთა სია, რომელთა შორის ორი სამტრედიელიცაა:

_ ახობაძე აკაკი ისიდორეს ძე, წითელარმიელი, საქართველოს სსრ, ქალაქი სამტრედია.

ახალაძე სიმონ იულონის ძე, დაბადებული 1918 წელს, საქართველოს სსრ, ქალაქი სამტრედია, დაიღუპა 1940 წლის 6.03.

ვკითხულობთ გაზეთში.

ორი გმირი სამტრედიელის შესახებ ამ ძუნწ ცნობას ''სამტრედიის მაცნეში'' იმ იმედით ვაქვეყნებთ, რომ იქნებ ვინმემ მათში საკუთარი ძმა, მამა ან ბაბუა ამოიცნოს.

*ლევან გაბეჩავა*



### რა შეუძლია იოდს

ამა თუ იმ დაავადებისგან განკურნება ზოგჯერ ისეთი უბრალო საშუალებით შეიძლება, ვერც კი წარმოიდგენთ. ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა იოდის სპირტხსნარი. თურმე იოდი მხოლოდ ჭრილობების დასამუშავებლად როდი ყოფილა სასარგებლო. ალბათ გაგიგონიათ, რომ მტკივან კუნთზე იოდის ბადეს იკეთებენ, მაგრამ ცოტას თუ ეცოდინება იოდდეფიციტის დასადგენი ერთი მარტივი ხერხი: უნდა დააკვირდეთ, რამდენად სწრაფად გაქრება კანიდან იოდის ბადე; თუ სწრაფად გაქრა, მაშასადამე, ორგანიზმს იოდი ჰკლებია.

### როგორ გავიკეთოთ იოდის ბადე

ბამბის ჩხირი 5-პროცენტიან იოდში უნდა ჩააწოთ და ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები ''დაიხატოთ'' მტკივან ადგილზე. უჯრებს შორის დაშორება დაახლოებით 1 სმ უნდა იყოს.

### როგორ დავადგინოთ იოდდეფიციტის არსებობა

იმისათვის, რომ გაიგოთ, აკლია თუ არა თქვენს ორგანიზმს იოდი, ბარძაყის შიდა მხარეს იოდის ბადე დაიხატეთ და დაელოდეთ. თუ 3 საათის გასვლის შემდეგ ბადე უკვალოდ გაქრა, გაიქეცით ექიმთან ანალიზების ჩასაბარებლად და იოდდეფიციტის სამკურნალოდ. თუ ბადემ 6-8 საათი გაძლო, ორგანიზმს იოდის ნაკლებობის მცირე დეფიციტი აქვს და მისი შევსება ზღვის პროდუქტების მირთმევით შეგიძლიათ. თუ იოდი ნორმაში გაქვთ, იოდის ბადე მეორე დღემდე არ უნდა გაქრეს.

### ხველების დროს

იოდის ბადე ხველების დროს კეთდება იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფის ტემპერატურა 38 გრადუსს არ აღემატება. ბადე კეთდება ან ყელზე (ანგინის დროს), ან მკერდზე (ფილტვების ანთების დროს). ადამიანს ეს ადგილები განსაკუთრებით მგრძნობიარე აქვს და პირველი პროცედურისას სხეულზე იოდის მხოლოდ ერთი ხაზი უნდა გაუსვათ. თუ 10-15 წუთის შემდეგ ავადმყოფს არ აღენიშნება წვა ან დისკომფორტი, შეგიძლიათ იოდის ბადე სრულად ''დაახატოთ'', თანაც დღეში ორჯერ _ დილა-საღამოს. იოდის ბადე ფეხმძიმე ქალების დამხმარეც შეიძლება გახდეს, გაციების დროს, როცა წამლების მიღებაში შეზღუდული ხართ ან იგივე იოდის დეფიციტის აღსადგენად. თუმცა, ფეხმძიმემ იოდის გამოყენებამდე აუცილებლად უნდა გაიაროს კონსულტაცია მკურნალ ექიმთან.

### დალურჯებების მორჩენაშიც იოდი დაგეხმარებათ

ამისათვის სასურველი არაა, დალურჯებისთანავე გაიკეთოთ იოდის ბადე. დაზიანებული ადგილი ჯერ ყინულით დაიმუშავეთ და იოდით მკურნალობა მეორე დღეს დაიწყეთ.

იოდი არის ქიმიური ელემენტი, რუხი ფერის კრისტალური ნივთიერება, რომელსაც უმთავრესად ღებულობენ ზღვის წყალმცენარეებისგან. სპირტში გახსნილი ეს ნივთიერება გამოყენებულია მედიცინაში, როგორც სადეზინფექციო საშუალება.

*''მკურნალის'' რედაქცია*




### ილია იობაძე

გარდაიცვალა განათლების სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, ბატონი ილია იობაძე. იგი დაიბადა 1928 წელს, დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი და მთელი ცხოვრება ახალგაზრდობის აღზრდის ფერხულში იყო.

სხვადასხვა წლებში ბატონი ილია გახლდათ ოფეთის № 2 და ოფეთის № 1 საჯარო სკოლების დირექტორი, იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც სოფელში, ისე რაიონში.

ვალმოხდილი წავიდა ამაგდარი პედაგოგი, მრავალი ღირსეული თაობის აღმზრდელი, ახლობლებს, კოლეგებს კი კეთილი მოგონება დაგვიტოვა.

ნათელში ბრძანდებოდეთ, ბატონო ილია!

*ოფეთის № 1 საჯარო სკოლა*



## როგორ ჩავიტაროთ თვითდიაგნოსტიკა

ძველი ჩინელი მკურნალების რჩევით, ყოველ დილით ჩაიხედეთ სარკეში, დაუკვირდით თითოეულ ნაკვთს და აღმოაჩინეთ ცვლილებები, რითაც შეგიძლიათ საკუთარ თავს დიაგნოზი დაუსვათ. იყავით დაკვირვებულები და თქვენ შეძლებთ ადრეულ სტადიაზე შეამჩნიოთ ესა თუ ის დაავადება საკუთარ თავს და ახლობელ ადამიანებს, რითიც შეძლებთ დახმარებას. ადრე დასმულ დიაგნოზსა და დაწყებულ მკურნალობას ბევრად სწრაფი და ეფექტური შედეგი აქვს.



**საფეხურები**

**ცხვირი** _ ჩინელი მკურნალები თვლიდნენ, რომ ცხვირი მთლიანად ასახავს ადამიანის ხერხემლის მდგომარეობას, ეს კი დიდ გავლენას ახდენს მთელს ორგანიზმზე.

**ცხვირის ნესტოები თუ წითლდება და იმ ადგილას კანი თხელდება** ამ დროს გულ-სისხლძარღვთა სისტემაში სერიოზული პრობლემებია მოსალოდნელი; ამავე დროს, ეს სიმპტომი შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ სისხლში შაქრის დონემ მოიმატა.

**მოლურჯო- მოწითალო ფერის ცხვირი** პირდაპირ მიუთითებს სისხლის დაბალ წნევაზე, ახასიათებს ჰიპოტონიით დაავადებულ ადამიანებს.

**ცხვირის ცალკეული ადგილების გაფერმკრთალება,** ნესტოების სიფერმკრთალე მიუთითებს პნევმონიაზე (ფილტვების ანთება). ეს ნიშანი ხშირად უჩნდებათ პნევმონიით დაავადებულ ბავშვებს.

**ცხვირის ბრინჯაოსფერი შეფერილობა, რომელსაც თან ახლავს მუქი ფერის წერტილოვანი წარმონაქმნები** ღვიძლის დაავადებაზე, ნაღვლის ბუშტის ან ელენთის დაავადებებზე მიანიშნებს.

**ცხვირის ზემოთ, შუბლის არეში ღრმა ვერტიკალური ნაოჭები** ისეთ ადამიანზე მიუთითებს, რომელიც ხშირად ვარდება დეპრესიაში და შემდეგ ძალიან უჭირს ამ მდგომარეობიდან გამოსვლა.

**ცხვირის ზემოთ ჰორიზონტალურად ღრმა ნაოჭები** _ პირდაპირ მიუთითებს ფარისებურ ჯირკვალთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

**ცხვირის ნესტოებზე მკაფიოდ გამოკვეთილი კაპილარები** პირდაპირ მიუთითებს ღვიძლის დაავადებაზე; აუცილებელია, დაუყოვნებლივ მიმართოთ ექიმს.

**ცხვირსა და ზედა ბაგეს შორის მარცხენა მხარეს არსებული ღრმა ნაოჭი** მიუთითებს მსხვილნაწლავის უწესრიგობაზე. ადვილი შესაძლებელია, ამ დროს სწორნაწლავი ადგილიდან იყოს დაძრული და გადაწეული მარცხენა მხარეს.

**ცხვირის მახვილი წვერი** კუჭის გაღიზიანებასა და გასტრიტულ მოვლენებზე მიუთითებს.

**ცხვირის წვერის გაფერმკრთალება** სისხლის მიმოქცევის დარღვევასა და წყლულოვანი დაავადებების საფრთხეზე მიანიშნებს.

**ცხვირის მიჭყლეტილი წვერი** _ პირდაპირ მიუთითებს კუჭის წყლულის არსებობაზე.

**ცხვირის შესივებული წვერი** გულის სისუსტეზე მიუთითებს.

**ცხვირის წვერი გაორებული შესამჩნევ ღარით** _ გულის დეფექტზე, არითმიაზე მიგვანიშნებს.

**ცხვირის წვერის გამკვრივება** _ მოახლოებული ინფარქტის ნიშანია.

**ყვრიმალები** _ დაკავშირებულია ნაღვლის ბუშტთან. თუ ამ ადგილებში ხშირად იჩენს თავს მუწუკები, მიაქციეთ ყურადღება ნაღვლის ბუშტს და ჩაიტარეთ გამწმენდი პროცედურები.

**ნიკაპი** _ თუ ქალს მენსტრუალური ციკლის დროს ნიკაპზე მუწუკები უჩნდება, ეს იმის მაუწყებელია, რომ მისი ნაწლავები მოსაწესრიგებელია. საჭიროა დიეტა და ორგანიზმის გაწმენდა.

**პირის კუთხეებში** _ წვრილი მუწუკები თუ ჩნდება ან ამ ადგილას კანი იქერცლება, ეს იმაზე მეტყველებს, რომ თორმეტგოჯა ნაწლავი არასწორად ფუნქციონირებს.

**ტუჩებზე თუ კანი იქერცლება** _ კუჭის დაავადების ნიაშანია.

**პირის გარშემო ძარღვების გაგანიერება** _ გასტრიტზე, გასტროკოლიტზე მიუთითებს.

**ყავისფერი ლაქები თმის ძირებთან** _ ღვიძლის გადატვირთვაზე, ორსულობაზე მიგვანიშნებს

**კოჟრი მარცხენა ფეხის ნეკა თითთან** _ გულის გაუმართავი მუშაობის ნიშანია.

**''ROGOR.GE''**

ნიკა წულუკიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბიძაშვილი

**გიორგი ვიტალის ძე ჭანჭალეიშვილი**

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

---

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ვალერი და ნიკა წულუკიძეებს

**გიორგი ვიტალის ძე ჭანჭალეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს დავით ბაღდავაძეს

**დედის**

გარდაცვალების გამო.




# "დიგა" _ მალე ბავშვთა გასართობი ცენტრი სამტრედიელებსაც ექნებათ

ახალი, 2015-2016 სასწავლო წელი ქალაქ სამტრედიაში განსხვავებულად შემოაბიჯებს. ამას სადღესასწაულო საბავშვო გასართობი ცენტრი "დიგას" წარმომადგენლობა გვპირდება.

ვისაც ნინოშვილის ქუჩაზე ამ დღეებში გაუვლია, მათ ყურადღებას უსათუოდ მიიქცევდა 43 ნომერში მდებარე, მხიარული დიზაინის მქონე შენობა. დიახ, სულ რაღაც სამიოდე თვის წინ ჩვეულებრივმა სამტრედიულმა სახლმა ბავშვთა გასართობი ცენტრის იმიჯი მიიღო. ამ სახლში ადრე ერთი კარგი სამტრედიელი ჯონი ჯოჯუას ოჯახი ცხოვრობდა. მისი მეუღლე, სამტრედიელებისთვის ასევე კარგად ნაცნობი ექიმ-სტომატოლოგი, ქეთევან პაპავა დიდი ხანია ოცნებობდა, სამტრედიაშიც ყოფილიყო ისეთივე გასართობი ცენტრი, როგორიც დედაქალაქშია. "ეს ჩემი დიდი ხნის ოცნება გახლდათ, სამტრედიელ პატარებს დაბადების დღეების ლამაზად და შინაარსიანად გასატარებლად შორს წასვლა არ დასჭირვებოდათ. ამ იდეის განხორციელებაში დამეხმარნენ ჩემი მეგობრები: ნანა ვაშაკიძე, ეკა მსხალაძე და მანანა კოპალეიშვილი. შენობა უკვე არსებობდა, ჩემი მეუღლის სახლი, რომელიც რამდენიმე წელია, დაკეტილია. ჩვეულებრივი სტილის საცხოვრებელ სახლს ჩავუტარეთ რეკონსტრუქცია და მივიღეთ, ჩემი აზრით არაჩვეულებრივი სადღესასწაულო ცენტრი".



ნინოშვილის ქუჩაზე გამვლელები სამი თვეა ინტენსიურად მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს აკვირდებიან. სულ ახლახან, ტკბილი, გამაგრილებელი სასმელი წყლის ფირმა "პეპსის" სარეკლამო ბანერიც გამოჩნდა.

ნანა ვაშაკიძე: "როცა ასეთი კარგი ჩანაფიქრის შესახებ შევიტყვე, ჩემი და ქეთის მეგობრობა ბიზნესით განვამტკიცეთ და შევუერთდი მის იდეას. წლების განმავლობაში სამტრედიაში მეც მსგავსი ტიპის ცენტრის გაკეთება მინდოდა. ამის შესახებ საქმის კურსში ჩავაყენე შპს "ნატახტარი", შპს "თოლია". მათ გარკვეული სახის თანადგომა გაგვიწიეს, აღგვჭურვეს ინვენტარით და გვამარაგებენ თავიანთი პროდუქციით. მომავალში, მჯერა ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაფართოვდება და სხვა ფირმებიც გამოჩნდებიან".

14 სექტემბერს ქალაქის რამდენიმე სკოლაში გასართობ ცენტრ "დიგას" ზღაპრის გმირები ახალი სასწავლო წლის დაწყებას სამტრედიელ პირველკლასელებს მიულოცავენ. ანიმატორი ნატა ამჟამად თბილისში, ერთ-ერთ გასართობ ცენტრში კვალიფიკაციის ასამაღლებლად იმყოფება.

14 სექტემბერს დღის მეორე ნახევარში, 15 საათიდან 17 საათამდე ბავშვებს ეპატიჟებიან, სადაც მათ მხიარულებასთან ერთად ცენტრის საფირმო სასმელი ელოდებათ. საბავშვო გასართობ ცენტრ "დიგას" მესვეურები წინასწარ გვპირდებიან, რომ 2015 წლის 14 სექტებრიდან ნინოშვილის ქუჩის 43 ნომერში ყოველდღიურად იფუნქციონირებს კაფე, ნებისმიერი სადღესასწაულო განწყობის შესაქმნელად, კი შეკვეთები მიიღება.

ნინო ნანიტაშვილი



რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839
სამტრედიის მაცნე
დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა




ნოდიას ლიტერატურული (გეძო)ვხება!

# ვულოცავთ!

**ნათია ნაცვლიშვილს!**

ჩვენო ნათია, კოლეგავ და მეგობარო, გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა არ მოუშალოს "სამტრედიის მაცნეს" შენი ხალისი, წიგნიერება და გულწრფელი ემოციები, შენ კი ჩვენი სიყვარული და პატივისცემა. იხარე სანაქებო ოჯახის დედამ და დიასახლისმა, პროფესიონალმა და საიმედო ადამიანმა.

"სამტრედიის მაცნე"



**დემეტრე კიკვაძეს!**

თვალხატულა პატარა ბიჭს, დიდი ქართველი მეფის სახელმოზიარეს, გილოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობის, სიუხვის, ბედნიერების კალთა გადაგაფაროს უფალმა. წელს პირველკლასელი ხდები მშობლიური ნიგორზღვის სკოლის ძლიერებად. განათლებული ოჯახის შვილს ინტელექტუალური წინსვლა დაგებედოს. საამაყო გაგვეზარდე შენს ძმასთან ერთად.

"სამტრედიის მაცნე"

---

**რუსიკო მუქერიას!**

ჩვენო რუსიკო, საყვარელო, ერთგულო, გულისხმიერო, გილოცავთ დაბადების დღეს! გაიხარე შენს ოჯახთან, მეგობრებთან ერთად. ბედნიერ დედად გაქცია პატარა ნინიკომ, ღმერთმა გაგიმრავლოს დედისერთა, შენ კი მისი წარმატებებით გაგეხაროს!

"სამტრედიის მაცნე"

---

**გიგა გელოვანს!**

ერთგულ ადამიანს, უანგარო მეგობარს, კარგი ოჯახის უფროსს, პროფესიონალს, ვულოცავთ დაბადების დღეს, 55 წლის შესრულებას. სიკეთით სავსე წლებით გეცხოვროს, უფალი გფარავდეს!

"სამტრედიის მაცნე"



---

**ბატონ რეზო ივანიაძესა და ნიკა სანაძეს!**

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ ასპარეზზე.

უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

"სამტრედიის მაცნე"

**ელიზა ცხვირავაშვილს!**

ჩვენს მეგობარს, მომხიბვლელ ქალბატონს, ვულოცავთ დაბადების დღეს! შემოდგომის თბილი მზე სიკეთედ, სიყვარულად, ჯანმრთელობად დაებედოს. ბედნიერი დედა და ბებია დიდხანს ყოფილიყოს ოჯახის ბურჯად და გარშემომყოფების იმედად.

"სამტრედიის მაცნე"

